



**ბ. ჩუბინაშვილის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და კულტა დაცვის ეროვნული
კვლევის ცენტრი**

2009 წელს

ბანსორციელებული საქმიანობის

ანგარიში

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის მიერ 2009 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

პრეამბულა

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი დაარსდა 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის 12 დეკემბრის განკარგულებით, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე.

2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის წესდება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზნები და ფუნქციები:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) მეცნიერული კვლევა, მისი პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელებული პროექტების ექსპერტიზა; საინვენტარიზაციო-საადრინცხვო საქმიანობა; ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; საზოგადოების ინფორმირება; საკონსერვაციო და კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავება; სახელმწიფოს დახმარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკის შემუშავებაში, კერძოდ:

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ისტორიის სფეროებში;
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, ვებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები; მედია პროდუქცია და სხვ.);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მოძრავი და უძრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი კულტურული ღირებულებების დადგენის მიზნით;

- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი.
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, სამაგისტრო კურსები);
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწეობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრთან არსებული ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია აწარმოებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო მუშაობას წესდების შესაბამისად წარმართავს 2008 წლის ნოემბერში არჩეული სამეცნიერო საბჭო 11 კაცის შემადგენლობით. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. დიმიტრი თუმანიშვილი; თავმჯდომარის მოადგილე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მზია ჯანჯალია; სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქეთევან მიქელაძე. ცენტრის დირექტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მარიამ დიდებულისძე.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის სტრუქტურა:

სამეცნიერო ნაწილი – ორი განყოფილება: 1. ძველი ხელოვნების განყოფილება 2. ახალი და თანამედროვე ხელოვნების განყოფილება;

არქივისა და ბიბლიოთეკის სექტორი,

ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი.

ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია.

ცენტრში მუშაობს 74 თანამშრომელი, მათ შორის 50 მეცნიერ-თანამშრომელი. აქედან 7 მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, 27 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 16 მეცნიერ-თანამშრომელი. ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლები – 5. ხელშეკრულებით – 2 მეცნიერ-თანამშრომელი; 2009 წელს ცენტრმა მიიღო 6 სტაჟორი.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრში 2009 წელს განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობა:

1. სამეცნიერო კვლევა

სამეცნიერო კვლევა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

- წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება;
- შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება;
- შუა საუკუნეების ქართული ქვისა და ლითონის ქანდაკება;
- შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა;
- შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის დასურათება;
- შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების იკონოგრაფია;
- პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა კორპუსები;
- თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება;
- ახალი ხელოვნების განვითარების ისტორია;
- თბილისი, როგორც კულტურული ფენომენი;
- ქართული სცენოგრაფია
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მეთოდოლოგია
- ხელოვნების ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია
- საარქივო მასალების კვლევა

კერძოდ, დამუშავდა შემდეგი თემები:

1.1) წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება

- გრაფიკული დეკორით შემკულ ნივთთა ტოპოგრაფია, “ურარტული სარტყლები საქართველოში” (ნ. გომელაური)

შესრულდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საქართველოში აღმოჩენილი გრაფიკული დეკორით შემკული ნივთების ტოპოგრაფია. თავმოყრილი მასალა რუკებზე დატანილია ნივთთა კატეგორიების მიხედვით. რუკებს ახლავს განმარტებები. დამუშავებულია თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურა. შეგროვილია ურარტულ სარტყელთა 70-მდე ნიმუში, ასევე სარტყლების გამოსახულებათა იკონოგრაფიული პარალელები ასურულ, ურარტულ და სკიითურ ნაწარმზე.

- გვიანანტიკური ხანის ქართული ლითონმქანდაკეობის ინტეგრირების ასპექტები ახლოაღმოსავლურ და სკვითურ ხელოვნებასთან მიმართებით (მ. გაბაშვილი)

ნაშრომში განხილულია ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში შექმნილი ბრინჯაოს ჭვირული ბალთები, რომლებიც ნათლად ავლენს გვიანანტიკური ხანის ქართული ლითონმქანდაკეობის მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებს და მათ კავშირებს წინაქრისტიანული ხანის მახლობელი აღმოსავლეთისა (ირანი, ლურისტანი) და სკვითურ ხელოვნებასთან. ბრინჯაოს ბალთებისა და სკვითური, ლურისტანული და პართული ნიმუშების შეჯერებამ გამოავლინა ქართული ბრინჯაოს პლასტიკის ინდივიდუალურობა, რომელშიც ტრანსფორმირებული სახით არის წარმოდგენილი აღნიშნული კულტურების სახვითი ტენდენციები. გამოვლინდა ინტერდისციპლინარული ხასიათის ზოგიერთი ასპექტიც – ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური, ლინგვისტური და ა.შ., რაც იმას ადასტურებს, რომ ქართული კულტურა ინტეგრირებული იყო მაშინდელ მსოფლიო კულტურათა ქსელში.

12.) შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება

- იკორთის ტაძარი (თ. სანიკიძე). თემს გარდამავალია
შესწავლილია ძეგლის ისტორია, შესრულდა ტაძრის აღწერა, შეგროვებულია ანაზომები, გრაფიკული და ფოტო-დოკუმენტაცია.

- საქართველოს მთიანი რეგიონის – საერო არქიტექტურის სივრცით-კომპოზიციური და მხატვრული სახის თავისებურებანი (ჩაჟაშისა და დართლოს მაგალითზე), (ი. ელიზბარაშვილი)

სვანეთისა და თუშეთის (ჩაჟაში, დართლო) საცხოვრებელი კომპლექსების მაგალითზე ნაჩვენებია ამ რეგიონების საცხოვრებელი ხუროთმოძღვრების თვითმყოფადობა, ინდივიდუალობა და საერთო ნიშნებიც. უშუალო-ჩაჟაშის ხუროთმოძღვრული სტრუქტურის შესწავლამ გამოავლინა ადგილობრივი ტრადიციებიდან მომდინარე კანონზომიერებები კოშკურ საცხოვრებელთა მშენებლობაში. თუშეთში სათავდაცვო კოშკები ავლენს კავშირს ჩრდილოკავკასიურ კოშკურ არქიტექტურასთან. ჩაჟაშისა და დართლოს საცხოვრებელ სტრუქტურებში მკაფიო სხვაობის მიუხედავად, გვხვდება ერთიანი ტექნიკური მიდგომებიც.

- შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ძეგლის შახისტახტის კვლევა (მ. მანია)

ჩატარდა საველე სამუშაოები, გადაღებულია ფოტოები. ეროვნული მუზეუმის არქივებში მოძიებულია ძველი ფოტო-მასალა; დამუშავებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობები შახისტახტის შესახებ. მიკვლეულია უძველესი წყაროები (XIX ს.), რომელშიც შახისტახტი იხსენება ობსერვატორიად. დადგინდა შახისტახტის ცალკეული შრეების თარიღები და მისი თავდაპირველი ფუნქცია. შახისტახტი, რომელიც ნარიყალის ციხისა და თბილისის ერთიანი საფორტიფიკაციო სისტემის განუყოფელი ნაწილია, თავდაცვით ფუნქციასთან ერთად, ობსერვატორიის ფუნქციასაც ითვისებდა შუა საუკუნეებში.

- **საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრების მიმართება მსოფლიო ხალხურ ხუროთმოძღვრებასთან (ს. ლეჟავა)**

განხილულია კოლხური ოდა-სახლის თავისებურებანი. დამუშავდა ტრადიციული იაპონური ხუროთმოძღვრების მიმართების საკითხი კოლხური ოდა-სახლის აღნაგობასა და სივრცით სტრუქტურასთან; ასევე ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ბერძნულ ხალხურ არქიტექტურასთან მიმართების საკითხი.

- **ფუზდის ეკლესია მესტიაში (გ. პატაშური)**

ფუზდის ეკლესიის არქიტექტურის შესწავლის შედეგად გამოვლენილია მისი თავისებურებები, რომლებიც აერთიანებს, როგორც ძველი, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვის ტიპურ ელემენტებს, ისე ადგილობრივი, სვანური ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. შიდა სივრცის გადაწყვეტისა და ფასადთა გაფორმების მხრივ ფუზდის ეკლესიის პარალელურად შეიძლება ჩაითვალოს ქვემო სვანეთის ორი ეკლესია: მარგვიშის წმ. გიორგი (XI ს.) და მამის მაცხოვრის ეკლესია (XI ს.).

- **ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების ეკლესიის ისტორია (დ. ხოშტარია)**

ნაშრომში განხილულია ტაო-კლარჯეთის შესწავლის ისტორია XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან დღემდე, ნახვენებია ცალკეულ მკვლევართა მიერ ჩატარებული სამუშაოების მნიშვნელობა. სათანადო ადგილი ეთმობა აგრეთვე სიძველეებით დაინტერესებულ მოგზაურთა ნაწერებს. თემაზე მუშაობის პროცესში დამუშავდა შესაბამისი ნაშრომები და ექსპედიციების შედეგად მოპოვებული სხვა მასალა (ფოტოსურათები, ნახაზები).

13.) შუა საუკუნეების ქართული ქვისა და ლითონის ქანდაკება

- **ბოლნისის რაიონის ადრექრისტიანული პლასტიკა (კ. მაჩაბელი)**

ნაშრომში განხილულია ბოლნისის რაიონში გამოვლენილი 16 ეკლესიაში ჩაშენებული ქვაჯვარების რამდენიმე ათეული ორნამენტირებული ფრაგმენტი. რელიეფებით შემკული ქვასვეტების ფრაგმენტები და ქვაჯვარების ბაზები უმეტეს შემთხვევაში ჩაშენებულია მოგვიანო ეკლესიების კედლის წყობაში. დადგენილია მშენებელთა მიერ ეკლესიებში ქვაჯვარათა ნაწილების გამოყენების პრინციპები და მეთოდები. შესწავლილი და კლასიფიცირებულია ქვაჯვარების ორნამენტული მოტივები. ქვაჯვარათა ინტენსიური გავრცელების ხანა VI-VII სს. ქვასვეტების დიდი ნაწილი ფრაგმენტების სახით შემონახულია „გარდამავალი ხანისა“ (VIII-IX სს.) და უფრო მოგვიანო ეპოქის ეკლესიათა წყობაში. ნაშრომში შევიდა აგრეთვე ბოლნისის მუზეუმსა და არქეოლოგიურ გამოფენაზე თავმოყრილი რელიეფური ძეგლები. ქვაჯვარათა მხატვრული და ტექნიკური ხერხები, ორნამენტული მოტივების შერჩევის თავისებურებები ადგილობრივი მხატვრული სკოლის არსებობას მიუთითებს.

• **ჟამუშის ღმრთისმშობლის ხატი** (თ. საყვარელიძე)

ნაშრომში განხილულია ვერცხლზე ნაჭედი ღმრთისმშობლის ხატი, შემონახული ზემო სვანეთში, ჟამუშის მაცხოვრის ეკლესიაში. მოჭედილობა ორ ქრონოლოგიურ ფენას მოიცავს. ცენტრალური გამოსახულება ტახტზე მჯდომარე ღმრთისმშობელი ყრმით ქაიხოსრო ლაღიაშვილის ნახელავია, XVII ს. ქართული ოქრომჭედლობის უკვე დაქვეითებული ხანის ტიპური ნიმუში. სრულიად განსხვავებული ხასიათისაა ხატის მოწარჩობა. არშეებზე წარმოდგენილი ფიგუროვანი გამოსახულებები, ორნამენტული მოტივები ზოგადი ასახულობით თუ ცალკეულ ფორმათა პლასტიკური მეტყველებით, საშემსრულებლო ოსტატობით, საქართველოში შუასაუკუნოვანი საოქრომჭედლო ხელოვნების ადრეული, დიდი „სკულპტურული ეპოქის“ კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია.

• **გვიანი შუა საუკუნეების ქართული ჭედური ორნამენტი** (ლ. ხუსკივაძე)

ნაშრომი ეხება შუა საუკუნეების გვიანი პერიოდის ქართულ ჭედურ ორნამენტიკას და მოიცავს საკმაოდ დიდ მასალას. იგი შედგება ცალკეული თავებისგან, სადაც საუკუნეების მიხედვით (XIV–XV, XVI, XVII, XVIII–XIX სს.) განხილულია ორნამენტის არათანაბარ ზომიერად მიდინარე განვითარების პროცესები. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ჭედურობის ზოგადი დაქვეითების პერიოდში ქართული ორნამენტიკა განაგრძობს არსებობას და ზოგჯერ მნიშვნელოვან წარმატებებსაც კი აღწევს (მაგ., XVI ს-ის ჭედური დეკორი, გამორჩეული თავისი მრავალფეროვნებით, ოსტატური შესრულებით, ცალკეულ შემთხვევაში სიახლეებითაც კი). მიუხედავად ამ დროს გაძლიერებული უცხოური გავლენებისა – იქნება ეს სპარსული, დასავლური თუ რუსული, ქართული ორნამენტი აგრძელებს საკუთარ ტრადიციებს.

• **აბრაამის მსხვერპლშეწირვის თემა ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებში** (თ. ხუნდაძე)

ნაშრომში განხილულია “აბრაამის მსხვერპლშეწირვის” გამოსახულებანი ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფურ პლასტიკაში, კერძოდ, ბრდაძორის დიდი სტელისა (VI ს.) და უსანეთის ქვაჯვარას (VIII ს.) რელიეფური კომპოზიციები; წებელდის კანკელის (VII–VIII სს.) ფილის ნახევრადდაკარგული კომპოზიცია; სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად ცნობილი წირქოლის, ყანჩათის კაბენის, ქურთას არქიტექტურული კერამიკის ნიმუშები (IX ს.); ლაშეს ვანის (X–XI სს.) ხის კარის კომპოზიცია. რელიეფური კომპოზიციები განხილულია იკონოგრაფიული და მხატვრულ-სტილისტური შედარებითი ანალიზის მეთოდით. პარალელურ მასალად მოხმობილია თანადროული ადგილობრივი და უცხოური ნიმუშები, რის შედეგადაც განსაზღვრულია მათი იკონოგრაფიული რედაქციები და თარიღები.

• **ბზის და აბიკვის რელიეფები** (ე. ედიშერაშვილი)

შესრულდა ბზის წმ. გიორგის ეკლესიის (XI–XII სს.) რელიეფების იკონოგრაფიული და მხატვრულ-სტილური კვლევა. ტაძრის საფასადო რელიეფებზე ქრისტიანულ ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული თემებია

(დანეღლი ლომთა ხაროში, ღმრთისმშობელი ყრმით, ხარის, ლომის, ქტიტორთა, ფრინველთა გამოსახულებები და სხვა) ასახული. მაგრამ არის იშვიათი გამოსახულებებიც: ტაძრის იატაკზე ამოკვეთილი ვარსკვლავების, მზისა და მთვარის სტილიზებული გამოსახულებანი და კარის წირთხლში წმინდანისა და ჯვრის რელიეფები. შესრულების მხრივ რელიეფები ხეზე კვეთილობასთან ავლენს კავშირს და ე.წ. ხალხური ხელოვნების ნიშნების მატარებელიც არის, რაც მათ განსაკუთრებულ მახასიათებლად გვევლინება.

- **სვეტიცხოვლის საფასადო რელიეფები (ე. კვაჭატაძე)**

შესწავლილია ტაძრის ცალკეული რელიეფები. სვეტიცხოვლის საფასადო სკულპტურა, მართალია, არ იძლევა სრულ წარმოდგენას ტაძრის თავდაპირველი დეკორის სისტემის შესახებ, ისინი ტაძრის მშენებლობის სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება და, სავარაუდოდ, ადგილშენაცვლებულიცაა, მაგრამ აშკარაა, რომ რელიეფური გამოსახულებები გარკვეული იდეის გამომხატველი პროგრამის ამსახველი უნდა ყოფილიყო და, ამდენად, ისინი ფასადებზე ერთიანი პრინციპით იქნებოდა განთავსებული.

14.) შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა

- **დოდორქის მონასტრის ახლადმიკვლეული მოხატულობანი (მ. ბულია)**

სტილური და იკონოგრაფიული ანალიზის საფუძველზე დათარიღდა მონასტრის დასავლეთ მასივში მდებარე ე.წ. ჯვარცმიანი ქვაბის მოხატულობა. მხატვრობის შინაარსის საფუძველზე განისაზღვრა ქვაბის მემორიული ფუნქცია; მონასტრის ცენტრალურ მასივში მდებარე სამარტომყოფელოს დეკორში გაიმიჯნა და დათარიღდა მოხატულობის ფენები; მონასტრის აღმოსავლეთ მასივში მიკვლეულ იქნა დღემდე უცნობი მოხატულობა. მხატვრობა დათარიღდა და განისაზღვრა ქვაბის ფუნქცია – სამარტომყოფელო სამლოცველოთურთ; მონასტრის საკრებულო ტაძრის ცნობილი გამოსახულებები ახლებურად იქნა იდენტიფიცირებული, დათარიღდა ახლადმიკვლეული ფრაგმენტები, გაიმიჯნა ფენები და განისაზღვრა მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამა; შესწავლილ იქნა მთავარ ტაძართა ჩრდილოეთ სადგომთა მოხატულობების პროგრამა და განისაზღვრა სადგომთა ფუნქცია; წარმოდგენილ იქნა წმ. დოდო გარეჯელის საფლავის ეკლესიის შექმნისა და შემკობის სრული ისტორია.

- **ისტორიული პორტრეტი XIII-XIV სს. კედლის მხატვრობაში (თემაზე მუშაობა განსაზღვრულია 2009-2010 წწ.); (ქ. მიქელაძე)**

ამ ეტაპზე დამუშავებულია თემასთან დაკავშირებული ქართული და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურა. ადგილზე შესწავლილია XIII-XIV სს. პორტრეტთა ერთი ჯგუფი, კერძოდ სამცხის ათაბაგთა – ჯაყელების ფრესკული პორტრეტები საფარის მონასტრის წმ. საბას ტაძარში, საფარის მიძინების ეკლესიაში, ჭულეს წმ. გიორგის ეკლესიაში; აბასთუმნის წმ. გიორგის ეკლესიის ახლადგახსნილი მოხატულობის პორტრეტთა ფრაგმენტები. გამოვლენილია ისტორიული სამცხის ტერიტორიაზე შემონახული XIII-XIV საუკუნეების ისტორიული პორტრეტის დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებანი.

- **იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა** (თემაზე მუშაობა განსაზღვრულია 2008-2010 წწ.-ში), (ე. გელევანიშვილი)
 ძეგლის იკონოგრაფიული კვლევის საფუძველზე გამოვლენილია იკვის მოხატულობის მხატვრულ-იდუური თავისებურება. გუმბათის ყელში ვნების ციკლის განთავსება, რაც ქართული შუა საუკუნეების მხატვრობისთვის უჩვეულოა, უკავშირდება ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში დიოფიზიტთა და – მონოფიზიტთა შორის არსებულ მწვავე კამათს. ამ კონტექსტს ამბავებს განკაცების ხატის ტრაპეზის თავზე განთავსებაც. გამოიკვეთა მოხატულობის საერთო სტრუქტურასა და ცალკეულ კომპოზიციებში არსებული „არატრადიციული“ იკონოგრაფიული ელემენტებიც (მაგ., განკითხვის დღის სცენაში ჩართული იერუსალიმს შესვლის სცენა, თუ შობის კომპოზიციაში ასახული ფესვიანი მთების გამოსახულება და სხვა).

- **წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა** (ი. ხუსკივაძე)
 წლის პირველ ნახევარში სრული მასშტაბის დაცვით გამოიხატა მოხატულობის იკონოგრაფიული სქემები, გარკვეულია ყველა საუფლო სცენის იკონოგრაფიული თავისებურება, მოძიებულია პარალელური მასალა. შემდეგ თემა შეიცვალა ახალი თემით – „**დორეთკარის წმ. ბარბარეს ეკლესიის მოხატულობა**“. ამ ძეგლის შესწავლა უფრო მიზანშეწონილად ჩაითვადა, ვინაიდან სოფ. დორეთკარი, ქსნის ხეობის სიღრმეში მდებარეობს, რომელიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ საქართველოს საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა. შესწავლილია დორეთკარის ფრესკების მხატვრულ-სტილური თავისებურებანი. მოხატულობა ორი ან, სამი ოსტატის ხელით იყო მოხატული. ყველა პალეოლოგოსური მხატვრული სტილით ნასაზრდოებ, პალეოლოგოსურისათვის დამახასიათებელ სახვით ფორმასა მინდობილი, ოღონდ შესრულების მანერით ოდნავ თითქოსდა განსხვავებულნი არიან – ოსტატობის დონით ჯობნიან თუ ჩამოუვარდებიან ერთმანეთს. ნიმუშების გავლენა საუფლო სცენებსა და საკურთხეველის მოხატულობებში გაცილებით მეტად შესამჩნევია. ამათგან აშკარად განსხვავებულია წმ. ბარბარეს ცხოვრების ამსახველი ციკლი, სადაც ოსტატის თავისებურებაა შენიშნული. მოხატულობა XIV-XV საუკუნეების ძეგლთა რიგშია მოქცეული. XIV საუკუნის ნიმუშებთან აშკარა მსგავსების მიუხედავად, იგი უფრო ამავე საუკუნის ბოლოს ან მომდევნო XV საუკუნის დასაწყისისთვის უნდა იყოს შესრულებული.

- **გუმბათის დეკორატიული სისტემა გვიანი შუა საუკუნეების კედლის მხატვრობაში** (ი. მამაიაშვილი)
 ნაშრომში განხილულია ოთხი ძეგლის – გელათის ღმრთისმშობლის ტაძრისა და წმ. გიორგის ეკლესიის, მარტვილისა და გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიების გუმბათთა მოხატულობები. შესრულდა ცალკეული კომპოზიციებისა და გამოსახულებების იკონოგრაფიული ანალიზი. განხილულია გუმბათის მოხატულობის თეოლოგიური პროგრამები

- **ჭულეს წმ. გიორგის მოხატულობა** (თემაზე მუშაობა განსაზღვრულია 2009-2010 წწ.), (მ. ჯანჯალია). ადგილზეა შესწავლილი ტაძრის მხატვრობის ახლადგაწმენდილი ფრაგმენტები, შეგროვებულია მოხატულობის

დასამუშავებლად საჭირო მთელი მასალა, დამუშავებულია შესაბამისი სახელოვნებათმცოდნეო თუ ისტორიული ლიტერატურა. ჭულეს ფერწერის დახასიათების დასაზუსტებლად ადგილზეა დათვალიერებული სამცხის სხვა ტაძრები (საფარა, ზარზმა, თისელი). მოძიებულია სხვა ქვეყნების, პირველყოფლისა, ბერძნული პარალელები.

- **ვარძიის მთავარი ტაძრის ფერადოვანი გადაწყვეტა** (ა. კლდიაშვილი)
ნაშრომში სტილური ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ტაძრის მოხატულობის ფერადოვანი გადაწყვეტის თავისებურებანი წინა ეპოქისა და თანამედროვე ნაწარმოებების კონტექსტში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ე.წ. ბიზანტიური სამყაროს ძეგლებში.

1.5.) შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის დასურათება

- **ჯრუჭის II ოთხთავის დასურათების მხატვრული პრინციპი** (დაწყებული სამუშაოს გაგრძელება), (ფ. დევდარიანი)
შესრულებულია მინიატურათა სტილური ანალიზი; მინიატურები დაჯგუფებულია ოსტატთა მიხედვით..

1.6.) შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების იკონოგრაფია

- **ადრეული ხანის ქართულ მოხატულობათა პროგრამების ლიტერატურული საფუძვლები** (მ. ყენია)
ნაშრომში გაანალიზებული და გამოკვეთილია ადრეული შუა საუკუნეების ქართული სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგის წამძლოლი თემატიკა და მისი მიმართება ადრეულ ქართულ მოხატულობებში დადასტურებულ ძირითად თემებთან. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ პერიოდის ქართული სასულიერო მწერლობა და კედლის მხატვრობა ერთი და იმავე სულისკვეთებითაა გამსჭვალული და ორივეგან მეწინავეობს აპოლოგია ჭეშმარიტი სარწმუნოებისა, დიოფიზიტური მრწამსისა, განკაცების დოგმატის განსაკუთრებული აქცენტირებით.
- **სახისმეტყველების საკითხები** (ა. ოქროპირიძე)
თემა შედგება რამდენიმე ქვეთავისაგან: "ხახულის ტაძრის სამხრეთი ფასადის სარკმლის მორთულობა". ქრისტიანული სახისმეტყველების წყაროებზე დაყრდნობით გამოვლენილია ამ კომპოზიციის რამდენიმე ალტერნატიული ამოკითხვა; 2. "სხეულის წერის წესისათვის მართლმადიდებლურ მხატვრობაში". განხილულია სხეულის წერის, როგორც წმინდა პრაქტიკული წესის ასევე მისი სახისმეტყველებითი ინტერპრეტაცია. შედარებულია მართლმადიდებლური და ადრეული კათოლიკური ნიმუშები. ღვთისმეტყველების მონაცემებზე დაყრდნობით ნაჩვენებია ორი თანაბარმნიშვნელოვანი, მაგრამ რამდენიმე განსხვავებული წერის სისტემა; 3. "გერგეტის სამების სახისმეტყველება". განხილულია სამების როგორც ფერისცვალების დღესასწაულის განცხადება. განხილულია კანკელის ძველი მხატვრობა, თვით კანკელის უნიკალური ფორმა (სამი ტაძრით დაგვირგვინებული) და ტაძრის ისტორიული კონტექსტი. ერთობაში კვლევის

შედევად წარმოჩნდა გერგეტის სამება როგორც მცხეთის სვეტიცხოვლისა და "ისიხასტური" პრობლემების განუმეორებელი მთლიანობა; 4. "ტიხრული მინანქარი – ზეციური იერუსალიმის მოწმობა". დასმულია საკითხი, რომ ტიხრული მინანქრის ტექნოლოგია – ოქროს ნიადაგზე დადებული ფერადი მინანქარი – ზედმიწევნით თანხვედრა ზეციური იერუსალიმის აღწერილობას "გამოცხადების" ტექსტში.

- **წმინდანთა მარტვილობის სცენები შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში** (თ. ხოშტარია)

ნაშრომში განხილულია დავით გარეჯის მოწამეთას ეკლესიასა და ჩიხიციურში შემორჩენილი წმ. მარტვილთა წამების სცენები. მოწამეთას ეკლესიის კომპოზიცია იდენტიფიცირებულია, როგორც ადგილობრივი ბერების წამების ისტორიული სცენა.

1.7.) პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება

- **X-XII სს. ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ასპექტი** (ქ. აბაშიძე)

ნაშრომში განხილულია X-XII საუკუნეთა ეკლესიების დაგეგმარების კავშირი ლიტურგიასთან.

- **მთავარანგელოზთა თემის ინტერპრეტაციისათვის შუა საუკუნეების საქართველოში** (ნ. ჭიჭინაძე)

ნაშრომში მიმოხილულია შუა საუკუნეების ქართულ ხატწერაში მთავარანგელოზთა იკონოგრაფიული ტიპები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა «მთავარანგელოზთა კრებას», რომლის დღეისათვის შემორჩენილი უადრესი მაგალითი ფხოტრერის (ზემო სვანეთი) მთავარანგელოზთა ეკლესიის ფერწერული ხატია (XII ს.); ნაშრომში თვალი გაედევნება აღნიშნული თემის გენეზისს, რომელიც ჩვენში უკვე ადრეული ხანიდან პოპულარულ ჯვრის ამალღების კომპოზიციას უკავშირდება. განხილული ხატების ფერადოვანი სიმბოლიზმი, სადაც ცეცხლოვანი წითელი ჭარბობს, «მთავარანგელოზთა კრების» პოლივალენტური თემის ესქატოლოგიურ საზრისს წამოწევს წინ. მთავარანგელოზთა ქართული ფერწერული ხატები თვალნათლივ მოწმობენ ამ ზეციურ არსებათა თაყვანისცემის გამორჩეულ მნიშვნელობას ჩვენში.

1.8.) ხელოვნების ნაწარმოებთა კორპუსები

- **ზემო სვანეთში დაცული შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლთა კორპუსი** (დაწვებული სამუშაოს გავრძელება), (რ. ყენია)

დასრულდა 2008 წელს დაწვებული, მთავარანგელოზთა ხატების დამუშავება. ხატებზე მოთავსებული წარწერები შეჯერდა XIX-XX საუკუნის მკვლევართა მიერ (დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, პ. უვაროვა, აღ. ხახანაშვილი და სხვ.) გამოქვეყნებულ წაკითხვასთან; დადგინდა ისტორიულ პირთა იდენტიფიკაციის სიზუსტე; გაანალიზდა მთავარანგელოზთა ხატების და ჯვრებზე მთავარ-

ანგელოზთა გამოსახულებების როლი და მნიშვნელობა; მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე მოხდა ძეგლების დათარიღება.

1.9.) თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება

- **XX ს-ის 70-80-იანი წლების დაზგური გრაფიკის განვითარების საკითხები** (მ. პოლიაკოვის, ა. რიჟინაშვილის და ს. აჯიაშვილის შემოქმედება), /დაწეებული სამუშაოს გაგრძელება/, (დ. ლებანიძე)
შევროვდა მასალა XX საუკუნის 70-80-იან წლებში მომუშავე ახალგაზრდა მხატვრების მ. პოლიაკოვის, ა. რიჟინაშვილის და ს. აჯიაშვილის შემოქმედების შესახებ. მოძიებული მასალა დაჯგუფებული და შესწავლილია, თუმცა ს. აჯიაშვილის შემოქმედების სრულად წარმოჩენისთვის საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება.
- **„იმპერიის მონუმენტები“**. საბჭოთა საქართველოს ქალაქების კულტურული სივრცის გაუჩინარებული სიმბოლური კოორდინატები (სტალინური ეპოქის მონუმენტური ქანდაკება საქართველოში), (ნ. მირცხულავა)
სახელმწიფო არქივებში, მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში მოძიებული ფოტო და დოკუმენტური მასალის შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია ტოტალიტარული სახელმწიფოების (სსრ კავშირი, ნაციონალურ-სოციალისტური გერმანია) ხელოვნებებთან შორის მსგავსება-ანალოგიები განვითარების გარკვეულ მონაკვეთში (1934-1956 სსრკ; 1934-1944 გერმანია). მასალაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მხატვრული შემოქმედების ყველა ფორმა და საშუალება მონოპოლიზებულია და ხელოვნებაზე დაწესებულ მკაცრ კონტროლს სპეციალურად შექმნილი აპარატი ახორციელებს.
- **1930-იანი წლების ქართული წიგნის გრაფიკა** /დაწეებული სამუშაოს გაგრძელება/, (მ. ვახეილაძე)
ნაშრომში მიმოხილულია ქართული ბეჭდური წიგნის მხატვრობის განვითარების ათ წლიანი პერიოდი (1930-იან წლები). შესავალი ნაწილი ეთმობა ქართული ბეჭდური წიგნის ისტორიის მოკლე მიმოხილვას და გამოკვეთილია ის საფუძველი, რომელიც დახვდა 1930-იან წლებში მოღვაწე მხატვრებს. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დააკავშირებით განხორციელებულ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს და, აქედან გამომდინარე, განხილულია წამყვანი მხატვრების: ლ. გუდიაშვილის, ლ. გრიგოლიას, ლ. ქუთათელაძის, ს. ქობულაძის, ი. თოიძის, თ. აბაკელიას შემოქმედება. ამ გამოცემების გარდა წარმოდგენილია შესრულებული ამავე მხატვრების სხვა ნამუშევრებიც და ასევე ი. შარლემანის და იოსებ (სოსო) გაბაშვილის მიერ გაფორმებული წიგნებიც. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 1930-იანი წლებში ქართული წიგნის მხატვრობა მკვეთრი ეროვნული ღირებულებებით გამოირჩევა, რაც შემდგომ ათწლეულებშიც იქნება შენარჩუნებული.

- **ახალი თემატიკა ქართულ ფერწერაში** (ფიროსმანის შემოქმედების მაგალითზე), (მ. მეძმარიაშვილი)

განხილულია ნ. ფიროსმანის ფერწერის ის ასპექტები, რომელშიც შეიმჩნევა ქართული მოდერნიზმის პირველი ნიშნები. მხატვრის შემოქმედების საწყის ეტაპზე შეიქმნა ისეთი ნამუშევრები, რომელიც ახლო იყო მე-20 საუკუნის დასაწყისის ევროპასა და რუსეთისთვის და უცხო – საქართველოსთვის. კვლევის შედეგად გამოვლინდა ფიროსმანის შემოქმედების გავლენა რუსულ „ნეო-პრიმიტივიზმზე“ და ავანგარდული ხელოვნების სხვა მიმდინარეობებზე. ამავე დროს, ფიროსმანის მხატვრობა იყო ახალი ქართული ხელოვნების განსაკუთრებული მოვლენა, რომელმაც განსაზღვრა ხელოვნების მომდევნო განვითარების გზა.

- **ექსპრესიონისტული ტენდენციები ქართულ მხატვრობაში** (ც. კილაძე)

საკვლევე თემასთან დაკავშირებით მოდიებულ იქნა ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა, შეირჩა ქართველ მხატვართა ნამუშევრები, განისაზღვრა გარკვეული პარადელები და კვლევის ძირითადი მიმართულება.

- **ქართული კულტურის ესთეტიკური ბუნების კვლევა XX საუკუნის დასაწყისის ფერწერის მაგალითზე** (დაწყებული სამუშაოს გაგრძელება), (ლ. ანთელავა).

თემის შესწავლა-დამუშავება წინა წლებშია დაწყებული. ამჟამადაც მიმდინარეობს მასალის შეგება, ლიტერატურაზე მუშაობა, დოკუმენტაციის მოძიება, მხატვართა ნამუშევრების ფოტოფიქსაცია.

- **თბილისის 1910-1930-იანი წლების კულტურა და ხელოვნება მოდერნიზმის კონტექსტში** (მ. ჩიხრაძე)

დამუშავდა XX საუკუნის დასაწყისის პრესა და ლიტერატურა ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმის არქივსა და ბიბლიოთეკაში, ლიტერატურის მუზეუმის არქივში. მოიძიებულია იმდროინდელი ფოტო და საარქივო მასალა. დამუშავდა რამდენიმე პირადი არქივიც. მოპოვებული მასალის საფუძველზე წარმდგენილია 1910–1920-იანი წლების თბილისის მხატვრული ცხოვრება და მისი დამახასიათებელი ნიშნები, მისი ინტერკულტურული გარემო, რომელიც ინტერნაციონალიზმით ხასიათდებოდა და რომელიც სრულიად მოკლებული იყო ფსევდონაციონალიზმსა და ნაციონალურ პროვინციალიზმს.

- **„ქართული თანამედროვე ხელოვნების ზოგიერთი ასპექტი“** (ნ. ჭოლოშვილი)

განხილულია ბოლო ოცი წლის მანძილზე ქართული თანამედროვე ხელოვნების განვითარების წინაპირობები, ვიზუალური ხელოვნების ახალი ტენდენციები, კულტურის პოლიტიკის საკითხები, თანამედროვე ხელოვნების განვითარების დღევანდელი პრობლემები, როგორცაა თანამედროვე ხელოვნების ცენტრის არარსებობა, სახელმწიფო თუ კერძო გალერეების სისტემის არასათანადო დონე და სხვა.

- **„ვალერიან სიღამონ-ერისთავისა და კაზიმირ მალევიჩის „წითელი მხადრები“** (მ. ციციშვილი)

ნაშრომში განხილულია ორი მხატვრის - ვალერიან სიღამონ-ერისთავისა და კაზიმირ მალევიჩის 1920-იან წლებში, ერთ თემაზე შექმნილი ნაწარმოები - „წითელი მხადრები“. ორივე მხატვარმა წითელი არმიელების შემოჭრა და გასაბჭოება არსობრივად, ერთნაირად გაიაზრა, მაგრამ განსხვავებულად წარმოაჩინა. კ. მალევიჩმა ამ თემის გადმოსაცემად მის მიერვე გამოვლილ პოსტსუპრემატულ მიმდინარეობას მიმართა, ხოლო ვ. სიღამონ-ერისთავმა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის რუსულ ნეორომანტიზმს.

1.10.) ახალი ხელოვნების განვითარების ისტორია

- **უახლესი დროის მხატვრობის (მოდერნიზმის) ძირითადი პრინციპების სისტემური ჩამოყალიბება ფოვიზმისა და კუბიზმის მაგალითზე** (გ. ხოშტარია)

განხილულია ფოვიზმისა და კუბიზმის მიმართულებები, რომელიც იწყება XX ს-ის დასაწყისში (I – 1905-1907; II – 1907-1915;) და ისეთივე ეტაპურ მიმართულებებს წარმოადგენს, როგორც თავის დროზე იყო იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი. ორივე ეს მიმართულება იყო ბოლო მხატვრული მოვლენა, სადაც ჯგუფი წყვეტდა პრობლემას. ორივეში ძლიერია ექსპერიმენტალური სული, როდესაც ხშირად ძნელია ჯგუფის შიგნით ინდივიდუალური სხვაობის მონახვა, თუმცა შემდეგ ყველანი „გაიშალნენ სუბიექტურ-ინდივიდუალურ თავთავიანთ სამყაროში“ – ფოვიზმში: მატისი, მარკე, დიუფა, დერენი; კუბიზმში: პიკასო, ბრაკი, დუშანი, დელონე. საგანგებოდაა გამოკვეთილი წამყვანი მხატვრების კონკრეტული მიღწევები და მიღებული შედეგების მთლიანობა, რითაც მკაფიოდ ვლინდება ამ ორი უმთავრესი მიმართულების როლი უახლესი სახვითი ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში..

1.11.) თბილისი, როგორც კულტურული ფენომენი

- **სოლოლაკის უბნის ადრეული პერიოდის (1830-იანი წ.წ.) განაშენიანება** (თ. გერსამია)

დამუშავდა სპეციალური ლიტერატურა; შეიკრიბა და დამუშავდა სახელმწიფო ცენტრალურ არქივში და სხვა არქივებში დაცული მასალები. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სოლოლაკის უბნის თავდაპირველი განაშენიანება დაიწყო XIX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1830-31 წლებში. განაშენიანების განვითარების ტენდენცია იყო ქვემოდან ზემოთკენ – ე. ი. შ. დადიანის, გ. ტაბიძის ქუჩებიდან მთაწმინდის კალთებისკენ. 1860-70-იანი წლებიდან განაშენიანებული ნაწილი თანდათან იცვლება, თავისუფალი კვარტლები ახალი შენობებით ივსება, იწყება გადაკეთება და დიდი ზომის შემოსავლიანი სახლების აგება. დღეს-დღეობითაც შემორჩა სახლები, რომლებშიც იკითხება თავდაპირველი ნაგებობის ფრაგმენტები, რაც ადრეული საცხოვრებელი არქიტექტურის უკეთ შესწავლის საფუძველს ქმნის და აჩვენებს კვლევის გაგრძელების აუცილებლობას.

- კლდისუბნის ორი თბილისური სახლის კვლევა (ბეთლემის II ჩიხი, № 2/6 და გომის II შესახვევი № 6) (მ. სურამელაშვილი), წლის პირველ ნახევარში ჩატარდა სავსე სამუშაო და ფოტოფიქსაცია. შესრულდა საარქივო სამუშაო. მაგრამ ვინაიდან საკვლევი ობიექტების შიგნიდან დათვალიერება და შესწავლა ვერ მოხერხდა, ამიტომ წლის მეორე ნახევარში დამუშავდა ახალი თემა – „სოლოლაკის ქედის მიმდებარე განაშენიანება ლ. ასათიანის ქუჩის ზედა ნაწილში (№№52, 54,56,58 საცხოვრებელი სახლები)“ განხილულია ლ. ასათიანის ქუჩის განაშენიანება, რომელიც მკაფიოდ ინდივიდუალური ფასადების მქონე შენობათა მიუხედავად, მასშტაბისა და გეგმარებითი გადაწყვეტის ერთგვაროვნებით ხასიათდება. №№52, 54, 56 სახლები ერთნაირი აგებულებისა, მათგან რამდენადმე განსხვავდება № 58 სახლი. სცსა-ში მოიძებნა არქიტექტორ თ. პორფიროვის 1895 წ. შესრულებული №52 სახლის პროექტი; №56 საცხოვრებელი სახლის 1894 წლის პროექტი; №54 საცხოვრებელი სახლის თარიღი – XIX ს-ის 70-იანი წლების ბოლო – სტილისტური ნიშნებით განისაზღვრა. №56 სახლის პროექტში №58 ნაკვეთის მფლობელად ექიმის მითითება და ხანდაზმულ მკვიდრ მოსახლეთა საგულისხმო ცნობა შენობაში ადრე სამშობიარო სახლის განთავსების შესახებ, გართულებული შიდა დაგეგმარებითაც დასტურდება.
- თბილისური სახლი და თბილისური პორტრეტი (ნ. ყიფიანი). ნაშრომში განხილულია თბილისური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურის სოციალურ-ეროვნული თავისებურებანი იმავე პერიოდის პორტრეტულ ხელოვნებაში ასახული იმავე აპსექტების თავისებურებათა ფონზე.

1.12.) ქართული სცენოგრაფია

- ი. სუმბათაშვილის ნოვატორული ძიებები ქართული საოპერო თეატრის სცენაზე (თ. ბელაშვილი)
ი.სუმბათაშვილის შემოქმედების შესწავლის მიზნით მოძიებულია საარქივო მასალები საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს მუზეუმის ფონდებში. დამუშავდა მხატვრის მიერ შესრულებული ესკიზები, თანადროული ფოტომასალა, წერილობითი დოკუმენტაცია.
- საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი შემოქმედნი, (მ. ოკლეი)
ნაშრომში განხილულია სხვადასხვა თაობის ოთხი წამყვანი მხატვრის: ს. ვირსალაძის, თ. მურვანიძის და ორი ახალგაზრდა ხელოვანის: მ. მახარაძისა და მ. ობრეზოვის შემოქმედება. მოცემულია თითოეული მხატვრის შემოქმედებითი პორტრეტი. გაანალიზებულია სპექტაკლების გაფორმება. გამოვლენილია, რომ ოთხივე მხატვარი თავისი ინდივიდუალური ხელწერით აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა მათ შორის არის გარკვეული მსგავსებაც, რაც ძირითადად სცენოგრაფიული ხელოვნების მხატვრული ტრადიციისადმი ერთგულებაშია გამოხატული.

- **XXს.-ის 20-30-იანი წლების თეატრალური მხატვრობის სტილისტურ-მხატვრული თავისებურებანი** შ. რუსთაველისა და კ. მარჯანიშვილის თეატრების მუზეუმებში დაცული კოლექციების მიხედვით (ე. თუმანიშვილი) შესწავლილია ირ. გამრეკელის, პ. ოცხელის, დ. კაკაბაძის, ვ. სიღამონერისთავის, ელ. ახვლედიანის, ლ. გუდიაშვილის, ასევე რუსი მხატვრების: ვ. სიმოვის, მ. დომრახოვის, ა. რადკოვის და სხვათა ესკიზები. გამოვლენილია მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების მხატვრულ-შემოქმედებითი გზის ზოგადი მიმართულება და ტენდენცია. გამოკვლეულია თეატრის მუზეუმებში დაცული კოლექციების (ესკიზები) მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები. შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ეს პერიოდი აღსავსეა თამამი შემოქმედებითი ძიებებით, სასცენო სივრცის ახლებური მიდგომა-გააზრებით, ახალი მხატვრული ფორმების მოხელთებით.

1.13.) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მეთოდოლოგია

- **მცხეთის წმინდა ჯვრის მცირე ტაძარი ახლად გამოვლენილი მონაცემების გათვალისწინებით** (ვ. ჩაჩხუნაშვილი).
ნაშრომში გამოთქმულია ვარაუდი, რომ მცხეთის წმინდა ჯვრის მცირე ტაძრის ახლად გამოვლენილი მონაცემები (1. მცირე ტაძარი დროის გარკვეული ინტერვალებით შენდებოდა და ამ პროცესში შენობის თავდაპირველი ხანაფიქრიც იცვლებოდა; 2. მცხეთის წმ. ჯვრის ტერიტორიაზე ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარებამდე არსებობდა წარმართული სატაძრო კომპლექსი) ანგარიშგასაწევია. რაც შეეხება ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე წინაქრისტიანული ხანის ნაგებობების არსებობას, რა სახისაც უნდა ყოფილიყო ისინი, მცხეთის წმ. ჯვრის მონასტრის არქიტექტურულ სახეზე მათ დიდი გავლენა არ მოუხდენია. მათი ფრაგმენტული შენარჩუნება მოხდა იმ მოცულობით, როგორც ეს მისაღები იყო ახალი მშენებლობისთვის.

1.14.) ხელოვნების ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია

- **“ხელოვნების ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში** (ნ. ლაღანიძე). ნაშრომში განხილულია ხელოვნების ისტორიის სწავლების მეთოდოლოგიის საკითხები როგორც დაწყებით, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში; მოხმობილია საერთაშორისო და სამამულო გამოცდილება. საშუალო სასწავლებლების საფეხურისთვის ამკვარი კვლევა პირველად ტარდება და პირველად არის შემოთავაზებული კონკრეტული სასწავლო პროგრამა. ნაშრომში დადგენილია შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმებსა და სტანდარტების კრიტერიუმებთან.

1.15.) საარქივო მასალების კვლევა

- **ვ. ბერიძის სამეცნიერო არქივის დამუშავება** (დ. თუმანიშვილი)
დამუშავდა ვ. ბერიძის არქივი. მასალა დახარისხდა კატეგორიების მიხედვით – ა) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები და ბ) შემოქმედება (1. სამეცნიერო შრომები და წერილები, 2. სიტყვები, და გამოსვლები, 3.

რეცენზიები), გ. სამუშაო მასალა, დ. სხვათა ნაწერები, ე. მიმოწერა. ცალკე გამოიყო – გრაფიკა (არქიტექტურული ჩანახატები და ჩანახაზები, პორტრეტები). მუშაობის ერთი მიზანთაგანი იყო მომავალში დასასტამბი ნაშრომების მონიშვნა. დაისახა ორი კრებული – „გ. ბერიძე – პოლემისტი“ და „თანამედროვეთა პორტრეტები“.

- XIX ს. და XX ს-ის დასაწყისის ქართული არისტოკრატიის საცხოვრებლის ისტორიისათვის (საარქივო მასალების მოძიება; ფოტომასალის, ჩანახატების, პროექტების კლასიფიკაცია) (ლ. ანდრონიკაშვილი)

მოძიებული, დახარისხებული და დამუშავებულია საარქივო მასალა XIX ს. და XX ს-ის დასაწყისის ქართული სათავაზნაურო კარ-მიდამოს შესახებ. გამხორციელდა მოპოვებული მასალის ანალიზი.

- თბილისის ისტორიული ნაწილის ტერიტორიის განვითარება საარქივო მასალის მიხედვით (1921 წლამდე), (გ. ჭანიშვილი).

თბილისის ისტორიული გეგმების და სხვა საარქივო-ბიბლიოგრაფიულ და ვიზუალურ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების ისტორია, შესაბამისი ქრონოლოგიური ცხრილებით და ადვილად აღსაქმელი ვიზუალიზაციით. ნაშრომში გამოყენებულია თბილისის 1735, 1782, 1785, 1800, 1802, 1809, 1831, 1837, 1839, 1844, 1867, 1876, 1884, 1898, 1902, 1903, 1907, 1913, 1924 წლების ისტორიული გეგმები, პანორამული ჩანახატები; ფოტოები და სხვა საარქივო მონაცემები; შესწავლილია, როდის შევიდა თბილისის შემადგენლობაში ქალაქის ირგვლივ არსებული სოფლები და დასახლებები; მათი საზღვრები; როგორ მიმდინარეობდა მათი ურბანიზაცია და საპოლიციო უზნებად გარდაქმნა. ურბანიზაციის პროცესი თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ცხრილებისა და სქემების სახით თითოეული უბნის მეკეთრად გამოხატული თავისებურების წარმოჩენით.

2. ძეგლთა აღწერილობა და სამეცნიერო ინფორმაცია

ცენტრის ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფმა განახორციელა:

- მიკროფიშების კრებული „ქართული არქიტექტურა“ – VII ტომისთვის ძეგლთა ტექსტობრივი და სახვითი მასალის მომზადება

დაიწერა და ინგლისურ ენაზე ითარგმნა 51 ხუროთმოძღვრული ძეგლის სამეცნიერო აღწერილობა (მოცულობა: 220 გვ. 1გვ = 1700 ნიშ.) მ.შ.: არსენისეული ეკლესია (ოთხთა ეკლესიასთან), ანძავის ციხე, ანჩა, არტანუჯი, ბანა, ბერთა, ბობოსკირი, გურჯანი (დიდი ეკლესია), დადაშენი, დოლისყანა, ეფვრატე, ერუშეთი, ესბეკი (სამი ეკლესია), ვახეძორი, ველი, ზევანი, იენი-რაბათი, ისი, იშხანი, კინეპოსი, კოპი, მამაწმინდა, მიძნაძორი, მუხლაჯიგილისი, ნიხახი, ნუკა საყდარი, ოთხთა ეკლესია, ოთხსაყდარი, ოლთისის ციხე, ოპიზა, ორთული, ოშკი, პარეხთა, პარხალი, პატარა ვანჯი, სათლე (ეკლესია), სვეტი, სიმურდონი, ტაოსკარი, ტბეთი, ურთა, ფარნაკი,

ფექრაშენი, შატბერდი, წყაროსთავი, ჭალა, ხახული, ხანძთა, ხოშრეთი (ყველა სტატია შეტანილია კომპიუტერში).

დაიწერა და ითარგმნება: ახიზის ხიდი, ხიდი ბერთისწყალზე, სათლეს ციხე, სინკოთი, ტბეთი (მიდამოები) დარბაზული ეკლესია, ჩაისი, ჯმურკი, ტომის შესავალი. ასევე, სტატიები იშხნის, ესბეკის ბაზილიკის, ოთხთა ეკლესიის, ოშკის, ხახულის, ტბეთის და დოლისყანის ეკლესიის მონატულობებზე (ყველა სტატია შეტანილია კომპიუტერში). ქართულ ენაზე მომზადდა და ინგლისურ ენაზე ითარგმნა 2500 ილუსტრაციის წარწერა, რომლებიც ასევე შეტანილ იქნა კომპიუტერში.

ციფრული ფორმით დამუშავდა და კლასიფიცირებულია 95 ხუროთმოძღვრული ძეგლის 3000-ზე მეტი ილუსტრაცია; პროგრამა Adobe Phtoshop-ით თითოეულ ილუსტრაციას გაუკეთდა ფორმატირება (მოთავსდა სპეციალური ზომის ფორმატზე). მათგან 2500 ილუსტრაციას მიება შესაბამისი განმარტებითი წარწერა.

კომპიუტერით დამუშავდა (სკანირება, გაწმენდა, რექტუში) და გამოიხაზა ხუროთმოძღვრულ ძეგლთა 92 ნახაზი, ასევე დამუშავდა (სკანირება, გაწმენდა, რექტუში).

მომზადდა და თითოეულ ძეგლს (95 ძეგლს) დაერთო რეგიონის რუკა ძეგლის ადგილმდებარეობის ჩვენებით.

- სერიიდან “ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლები საზღვარგარეთ” მომზადდა და გამოიცა ქართულ-ინგლისურენოვანი ალბომი “ოშკი”;

- მიმდინარეობს მუშაობა ალბომზე – “იშხანი”;

- მზადდება “საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის” მრავალტომეულის მე-3 წიგნი (კახეთი, დედოფლისწყაროს, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის და ყვარლის რ-ბი) დამუშავდება ტექსტობრივი და სახვითი მასალა;

- მომზადდა პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი დიგიტალური გზამკვლევი (ინგლისურ ენაზე) „ქართული არქიტექტურა – აღმოსავლეთ საქართველო“.

3. ცენტრის არქივისა და ბიბლიოთეკის სექტორი

3.1. ცენტრის არქივის სექტორის მიერ დამუშავდა:

- დევი ბერძენიშვილის ექსპედიციების მასალა (სამცხე-ჯავახეთი, ბოლნისი) 1600 ერთეული (დაამუშავა ნ. კობახიძემ);
- ტატიანა შევიაკოვას პირად არქივში დაცული კედლის მხატვრობის ორნამენტების ასლები – 65 ერთეული, (დაამუშავა ნ. კობახიძემ);
- თინათინ ვირსალაძის პირად არქივში ახლად გადმოცემული მასალა ფრესკების ფოტოანაბეჭდები – 182 ერთეული, (დაამუშავა ნ. კობახიძემ);

- ნიკო ჩუბინაშვილის 1960 წლის ერწოს ექსპედიციის მასალები – 52 ერთეული, დაამუშავა ნ. კობახიძემ; მასალა გატარებულია საარქივო წიგნში: გაკეთდა მისი სისტემატიზაცია, ინვენტარიზაცია და კატალოგი.
- გაკეთდა იტალიელი მეცნიერების მიერ დაბრუნებული ნახაზების პასპორტები – 138 ერთეული – (შეასრულა ბ. კუპრეიშვილმა);

3.2. ბიბლიოთეკა

ცენტრის ბიბლიოთეკა ჯერაც ვერ ფუნქციონირებს, ვინაიდან ცენტრს არ გააჩნია სათანადო ფართი წიგნების იმ მცირედი ნაწილის განთავსებისთვისაც, რომელიც გადაურჩა 1992 წლის ხანძარს. წიგნები უსისტემოდ ჩაწობილია ტომრებში. 2009 წლის ოქტომბერში ცენტრი იძულებული გახდა კიდევ ერთხელ, უკვე მე-8-ჯერ გადაეტანა წიგნები სხვა ადგილას, ვინაიდან თაბუკაშვილის ქ. № 5 შენობის გამაგრებითმა სამუშაოებმა საფრხე შეუქმნა მათ და საკმაოდ დააზიანა ისედაც ცუდ მდგომარეობაში მყოფი წიგნები. არ არის არავითარი საშუალება თუნდაც ამ გადარჩენილი ნაწილის სისტემატიზაციისათვის. ბიბლიოთეკის ამგვარი მდგომარეობა ძალიან აბრკოლებს თანამშრომელთა სამეცნიერო კვლევების სათანადო დონეზე განხორციელებას და აგრეთვე სასწავლო პროცესის წარმართვას.

4. ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ემბლთა ფიქსაციის ფოტოლაბორატორიის მიერ განხორციელებული საქმიანობა

- მოძველებული საკართოტეკო ბარათების ჩანაცვლება ახალი ფორმის ბარათებით, მათი ხელახალი ანოტირება და სლაიდების დიგიტალიზაციის პროცესი. დამზადებულია 725 ერთეული საკართოტეკო ბარათი.
- არქივის დიგიტალიზირებული მასალის მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა. 2009 წლის განმავლობაში დასკანერდა და ციფრულ ფორმატში იქნა დაარქივებული 872 ცალი სლაიდი.
- ლაბორატორიის გადამღები ჯგუფი იმყოფებოდა მივლინებებში: იკვში, დავით გარეჯში, გერგეტის სამებაზე, ხევის სიონში, ქოროლოზე, ლომისაზე, საფარაში, შემოქმედში, ჯუმათში, ღიხაურში; რის შედეგადაც ლაბორატორიას შეემატა ახალი ფოტო-მასალა; სულ 2009 წლის განმავლობაში გადაღებულია 720 კადრი.
- 2009 წ. შესრულდა სამუშაოები გ. ჩუბინაშვილის სახ. ეროვნული ცენტრის თანამშრომელთათვის და ცალკეულ დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციებისთვის (კულტურის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, გამომცემლობები: "ელფი", "პეგასი", „არტანუჯი“, დავით გარეჯის კვლევის ცენტრი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, და სხვ.). მომსახურების ტიპი განისაზღვრებოდა

დამკვეთთა მოთხოვნის შესაბამისად: არქივში დაცული ფოტოკოლექციის გაცნობა, ცალკეულ ვიზუალურ ობიექტზე ინფორმაციის მიწოდება, საჭიროების შემთხვევაში მასალის სკანირება, კომპიუტერული დამუშავება და ციფრულ მატარებელზე გადატანა.

- დაზვერვითი ექსპედიცია ახმეტის რაიონში, მდინარეების იორისა და ილტოს სათავეებიდან სამხრეთისკენ, დაფიქსირებული მთისა და ხეების ტოპონიმების: გარეჯის ხევი, მთა გარეჯა (2496,9მ), "უროჩიშე" საგარეჯო, "უროჩიშე" დარბაზის ნაბინავარი, მთა მთაწმინდა-ს შესაბამისი ადგილების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამჯერად განხორციელდა მთა "გარეჯი"-სა და "დარბაზის ნაბინავარი" ხევის მონახულება, სადაც ნაგებობათა ნანგრევების მთელი წყება აღმოჩნდა.

5. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. სამეცნიერო ნაშრომები, ალბომები, სტატიები.

5. 1. გამოფენები და პრეზენტაციები

- 2009 წლის 1 აპრილს გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების დღეს გაღერებაში „კოპალა“ მოეწყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების პრეზენტაცია-გამოფენა, კერძოდ გამოფენილი იყო ცენტრის მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული წიგნები, ალბომები და ბროშურები; ცენტრთან არსებული ფოტო-ლაბორატორიის ფოტოები;
- ცენტრის მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაციასთან დაკავშირებით სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, სამთავრობო უწყებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოსი აკრედიტირებულ საელჩოებში; არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვ. დაიგზავნა ცენტრის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ბუკლეტი "Ancient Georgian Art".
- 17 ივლისს გაიმართა „ქართულ-აფხაზური ალბომის“ პრეზენტაცია;
- ცენტრის მიერ გამოცემული წიგნები და ალბომები გატანილი იყო წიგნის ბაზრობაზე (2009 26-28 ივნისი);
- „სმირნოვების სახლი – საჩუქრად საქართველოს“ – ალბომის პრეზენტაცია;
- თანამედროვე ქართული ექსლიბრისის გამოფენა (ორგანიზატორი მ. გაჩეჩილაძე). გამოფენა გაიმართა საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დარბაზში (22-27 ივნისი, 2009).
- 2009 წელს გ. ჩუბინაშვილის ცენტრმა დაიწყო რეგიონებში – კულტურის განყოფილებებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2008 წელს გამოცემული ბროშურის “ძეგლზე მოქცევის წესები

ყმაწვილთათვის" დარიგება საგანგებო ხელშეკრულებების საფუძველზე.
ეს საქმიანობა გაგრძელდება 2010 წელსაც.

5. 2. 2009 წლის გამოცემები

- სმირნოვების სახლი – საჩუქრად საქართველოს (მ. გაჩეჩილაძე, დ. ლებანიძე, ნ. მირცხულავა, თ. ბელაშვილი);
- ქართულ-აფხაზური ალბომი (რედაქტორი და შემდგენელი ს. ჭურღულია); 2009 წ. 30 დეკემბერს მიენიჭა გიორგი შერვაშიძის პრემია;
- კ. მაჩაბელი, ადრე შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები;
- ალბომი – „თბილისის ხიბლი“, (ც. კილაძე, მ. მეძმარიაშვილი, თ. გერსამია);
- მ. გაჩეჩილაძე, გამოფენის – „EX LIBRIS-2009“ – კატალოგი
- დ. ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გამომცემლობა „არტანუჯი“, მეორე გამოცემა, 2009 (წიგნის პირველი გამოცემა – 2005);
- გ. ჭანიშვილი, სამთავროს წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრის ისტორია; თბ., 2009 ;
- თ. დვალი, ნ. ანდღულაძე, ვ. სილოგავა – ალბომი "ოშკი“.

5. 3. 2009 წელს ცენტრმა გამოსცა ჟურნალი „საქართველოს სიძველენი“, № 12

ჟურნალში გამოქვეყნდა ცენტრის თანამშრომელთა სტატიები:

- დ. ხოშტარია, შენიშვნები თბილისის შუა საუკუნეების ეკლესიებზე;
- თ. სანიკიძე, წალენჯიხის ტაძრის ისტორიისთვის; თვალსაჩინო მკვლევარი (ნიკო ჩუბინაშვილი);
- გ.პატაშური, არსუკისძისეული სვეტიცხოვლის ფასადთა რეკონსტრუქცია და მისი მხატვრული თავისებურებანი;
- კ. მაჩაბელი, ღმრთისმშობლის სახის ისტორიიდან ქართულ ჭედურობაში (ღმრთისმშობელი-ოდივიტრია);
- მ. ბულია, თამარის ხანის მოხატულობათა ერთი იკონოგრაფიული თავისებურება;
- მ.გაბაშვილი, მხატვრულ-პლასტიკური ტრანსფორმაციის საკითხისათვის გვიანანტიკური ხანის ქართულ ლითონმქანდაკებლობაში;
- ნ. ჭიჭინაძე, შუა საუკუნეების ქართული ხატწერის ერთი იკონოგრაფიული თემის ინტერპრეტაციისთვის („მთავარანგელოზთა კრება“);
- მ. ყენია, მხატვრობის საერთო სისტემის გადაწყვეტის თავისებურებანი ადრეული ხანის სვანეთის მოხატულობებში;

- მ. სურამელაშვილი, ც. ჩახუნაშვილი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია;
- თ. დადიანი, წმინდა მხედრების იკონოგრაფია ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებში (VI-VIII სს.).

5. 4. გ. ჩუბინაშვილის ცენტრმა ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან ერთად მოაწყო **ლ. რჩეულიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია და მოამზადა კონფერენციის მასალები**, რომელშიც შევიდა ცენტრის თანამშრომელთა მოხსენებები:

- დ. თუმანიშვილი, ჩვენი მასწავლებელი;
- მ. დიდებულიძე, ადამიანი, რომელიც ასე გვაკლია;
- კ. მაჩაბელი, ქვაჯვარა, როგორც Spolia შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში;
- გ. პატაშური, ზემო სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტიპოლოგია
- მ. ბულია, საკრებულო ტაძრების ჩრდილოეთ სადგომთა მოხატვის ტრადიცია დავითგარეჯის მონასტრებში;
- ქ. აბაშიძე, ჰუჯაბის ივერთა ღმრთისმშობლის მონასტერი
- ა. ოქროპირიძე, სხეულის წერისთვის მართლმადიდებლურ ხელოვნებაში;
- ს. ლეჟავა, კოლხური ოდა-სახლი და იაპონური ტრადიციული ხუროთმოძღვრება (საკითხის დაყენებისთავის);
- ლ. ანდრონიკაშვილი, წინანდლის ალ. ჭავჭავაძისეული მამულის არქიტექტურული კომპლექსის სარეაბილიტაციო პროექტის შესახებ;
- ე. თუმანიშვილი, შ. რუსთაველის სახ. თეატრის მუზეუმში დაცული კოლექციის ზოგადი დახასიათებისათვის (XX ს-ის 20-40-იანი წლების ესკიზები);
- ლ. ანთელავა, ჩვენი ბატონი ლეო.

5. 5. სამეცნიერო და პოპულარულ გამოცემებში გამოქვეყნებული ნაშრომები

1. ვ. ბერიძის სახ. ქართული ხელოვნების საერთაშორისო **სიმპოზიუმის მასალები** (V. Beridze I st. International Symposium of Georgian Culture, 2008, Proceedings, 2009)

- A. Kldiashvili, Semantics of Images and Model of Universe in Pre-Christian Georgian Culture;
- N Gomelauri, Georgia and Eurasia in the 2nd and 15th Millennia, S.C – Evidence of Bronze Plastics;
- T. Sanikidze, General Aspects of the History and Architecture of Uplistsikhe;
- E. Gedevanishvili, M. Kenia, On the Interrelation of the Word and Image in Medieval Georgian Mural Painting;

- M. Didebulidze, Secular Trends in the Georgian Culture from the Period of Queen Tamar and the Contemporary Wall Painting;
- I. Mamaiashvili, Post-Byzantine Tendencies in the 16th Century Georgian Mural Painting
- T. Khundadze, Images of Historical Persons in Georgian Architectural Sculpture of the Middle Ages (6th through 11th century)
- E. Kvachatadze, Main Trends in the Medieval Georgian Façade Sculpture of the 12th-18th Centuries;
- L. Khuskivadze, An Ornament in Medieval Georgian Repousse Art
- G. Patashuri, Reconstruction of the 11th Century Exterior Decoration System of Svetitshoveli Cathedral in Mtskheta
- E. Edisherashvili, Façade Sculpture of Nadarbazevi ‘Triple-church Basilica’ (Reconstruction of the program);
- M. Medzmariasvili, The Art of Pirosmeni in the Framework of the European Avant-garde;
- M. Tsitsishvili, From Expressionism to Dada: Georgian Painting from 1910 to the 1930;
- T. Tabatadze, For the Definition of Certain Features of the Modernist Artistic Cafes. On Ideological Conceptual Language of ‘Qimerioni’ Paintings;
- M. Chikhladze, The Futurist Book, Tbilisi 1917-1919.

2. კრებული ბიზანტინოლოგია საქართველოში, 2, 2009

(საერთაშორისო კონფერენციის "ბიზანტინოლოგია საქართველოში" (თბილისი, 2009) მასალები)

- კ. მაჩაბელი, ადრეობიზანტიური კულტურა და საქართველო;
- ნ. ჭიჭინაძე, რელიკვიები და რელიკვიარიუმები – რელიგიურ-პოლიტიკური ასპექტები.

3. შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიატთა ნაშრომები, ტ. II, თბილისი, 2009

- კ. მაჩაბელი, "ახალი მასალები ადრეული შუა საუკუნეების ქართული პლასტიკური ხელოვნების ისტორიისათვის"

4. ჟურნალი „სპექტრი“

- ლ. ანთელავა, ვიზუალური აზროვნება მხატვრობაში (თბილისი ვია ბულაძის შემოქმედებაში);
- მ. ოკლეი, ნიკა ყაზბეგის ხელოვნება.

5. ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“

- ნ. მირცხულავა, მონუმენტური ქანდაკების შესახებ (მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილის შემოქმედება, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 11, 2009;
- ნ. მირცხულავა, ქართველი მხატვრები გასული საუკუნის პრესაში, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 9, 2009.

6. უურნალი „Русский клуб“

- თ. გერსამია, მიხეილის საავადმყოფო („Приют для страждущих“), *„Русский клуб“*, 2009, № 3;
- მ. მეძმარიაშვილი, Очарование старого Тбилиси, *„Русский клуб“*, № 12, 2009.

7. ალმანახი „მწიგნობარი-09“

- მ. გაჩეჩილაძე, ქართული საბავშვო წიგნის გრაფიკის სათავეებთან.

5.6. უცხოეთში დაბეჭდილი ნაშრომები

- დ. ხოშტარია, Past and Present of the Georgian Sinai: A Survey of Architectural History and Current State of Monasteries in Klarjeti, *Heilige Berge und Wüsten: Byzanz und sein Umfeld*, Herausgegeben von P. Soustal, Wien, 2009;
- ნ. ჭიჭინაძე, Icons as Symbols of Power in Medieval Georgia, *Le Muséon, Revue d'études orientales*, Louvain-La Neuve, vol. 123, 2009;
- ნ. ჭიჭინაძე, “Икона “Собор Архангелов” из церкви Архангелов селения Пхотрери, (Верхняя Сванети, Грузия), *Памятники Культуры, Новые Открытия, Москва, 2009/*

5. 7. 2009 წელს ცენტრის მიერ გამოსაცემად მომზადებული ნაშრომები

წიგნები

- ვ. ბერიძე, „ქართული ხუროთმოძღვრება“;
- მ. ბულია, დ. თუმანიშვილი, ა. ვოლსკაია, „დავით გარეჯის მონასტრები – ნათლისმცემელი, ბერთუბანი“;
- ე. კვაჭატაძე, მ. ჯანჯალია, „ანანური“;

- ი. ლორთქიფანიძე, მ. ჯანჯალია, „წალენჯიხის მოხატულობები“;
- ნ. ჭიჭინაძე, „შუა საუკუნეების ქართული ხატწერა“;
- ს. ლეჟავა, „ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კატალოგი“.
- პ. ქურდოვანიძე, ხ. ჭურღულია, “ქართულ-აფხაზური ალბომი“ (მეორე გამოცემა),

პერიოდიკა

მომზადდა მასალები ჟურნალის „საქართველოს სიძველენი“ № 13, 2009, რომელიც გამოვა 2010 წელს. მასში გამოქვეყნდება ცენტრის თანამშრომელთა ნაშრომები:

- დ. თუმანიშვილი, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიიდან;
- ე. გედევანიშვილი, გელათის მონასტრის წმ.ნიკოლოზის ეკლესიის სიმბოლური ინტერპრეტაციისათვის;
- გ. პატაშური, დასავლეთ საქართველოს ორი ნაკლებად ცნობილი ტაძარი;
- ი. ელიზბარაშვილი, ხ. ჭურღულია, კოტე მარჯანიშვილისა და ნიკო ჭავჭავაძის სახლები ყვარელში;
- ქ. მიქელაძე, სამოჭალოს წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა;
- ნ. მირცხულავა, ალექსანდრე შერვაშიძე;
- მ. გაჩეჩილაძე, ქართული ბეჭდური წიგნის მხატვრული გაფორმების თავისებურებანი (XVII–XIX სს.);
- ლ. ანთელავა, სივრცე-დროის ტრანსფორმაციის საკითხი XX საუკუნის ქართულ მხატვრობაში;
- თ. თაბატაძე, არტისტული კაფე „ქიმერიონი“ და მისი მოხატულობა, თფილისი, 1919წ.
- მ. ციციშვილი, ვალერიან სიდამონ-ერისთავისა და კაზიმირ მალევიჩის „წითელი მხედრები“;
- დ. ხოშტარია, ხარების ეკლესია თბილისში;
- მ. ყენია, ჩაქაშის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა.

5. 8. ცენტრის თანამშრომელთა დასასტამბად გადაცემული ნაშრომები:

1. ქართული კულტურის II საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასია: საქართველოს გზაჯვარედინზე“. კულტურული ურთიერთგაცვლა ევროპაში და მის გარეთ“ ფლორენცია, 2-9 ნოემბერი, 2009, სიმპოზიუმის მსალები

- დ. ხოშტარია, Sculptural Representations of Medieval Georgian Masons („შუა საუკუნის ქართველ მშენებელთა სკულპტურული გამოსახულებანი“);
- მ. დიდებულიძე, სამი ბაბილონელი ყრმის გამოსახულება XII-XIII საუკუნეებში მწვანეებლობებთან დაპიროსპირების ფონზე;
- ნ. ჭიჭინაძე, Icons and Society of Medieval Georgia;
- ე. გედევანიშვილი, Building of ‘Picture Space’ in Argokhi Church Decoration;
- ა. კლდიაშვილი, ქართული ქრისტიანული ტაძარი და სამყაროს ხატის ამოკითხვის ცდა;
- ნ. ლაღანიძე, ტრადიცია და ნოვაცია XX ს-ის ქართულ მხატვრობაში;
- ლ. ანთელავა, დროის კონცეფცია XX ს-ის ქართულ მხატვრობაში.

2. საერთაშორისო კონფერენცია "ასურელი მამები აღმოსავლურ და დასავლურ საეკლესიო ტრადიციაში", ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტი, თბილისი, 5-7 მაისი, 2009, კონფერენციის მსალები

- კ. მაჩაბელი, სირიული ლიტურგიკული ხელოვნება და ადრეული შუა საუკუნეების საქართველო;
- ნ. ჭიჭინაძე, ასურელი მამების იკონოგრაფიისათვის.

3. გოეთეს ინსტიტუტის შრომათა კრებული

- მ. მანია, თბილისის დასაცავი ფასეულობა

4. კრებული – "ახალციხის ეპარქია" (გადაცემულია)

- თ. საყვარელიძე, საფარა-ზარზმის ჭედური ძეგლები;
- ი. ელიზბარაშვილი, ზველის (ძველი) ორნავიანი ეკლესია და ღართის ეკლესია, გადაცემულია;
- ქ. მიქელაძე, აბასთუმნის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა.

5. ჟურნალი „სპექტრი“

- მ. ოკლეი, თანამედროვე ქართული თეატრის მხატვრები;

- ს. ლეჟავა, სვეტებშებმული ოდა-სახლები.

6. ჟურნალი ლიტერატურა და ხელოვნება

- მ. გაჩეჩილაძე, არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა (მხატვარ ლაღო ქუთათელაძის შემოქმედება).

6. სამეცნიერო კონფერენციები:

1. ლ. რჩელიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, 12 ივნისი, 2009 წ. კონფერენციის ორგანიზატორები: თბილისის ა. ქუთათელაძის სახ. სამხატვრო აკადემია და გ. ჩუბინაშვილის ცენტრი. კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს ცენტრის თანამშრომლებმა. კონფერენციის მასალები გამოიცა;

- კ. მაჩაბელი, ქვაჯვარა, როგორც Spolia შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში;
- გ. პატაშური, ზემო სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტიპოლოგია
- მ. ბულია, საკრებულო ტაძრების ჩრდილოეთ სადგომთა მოხატვის ტრადიცია დავითგარეჯის მონასტრებში;
- ქ. აბაშიძე, ჰუჯაბის ივერთა ღმრთისმშობლის მონასტერი
- ა. ოქროპირიძე, სხეულის წერისთვის მართლმადიდებლურ ხელოვნებაში;
- ს. ლეჟავა, კოლხური ოდა-სახლი და იაპონური ტრადიციული ხუროთმოძღვრება (საკითხის დაყენებისთავის);
- ლ. ანდრონიკაშვილი, წინანდლის აღ. ჭავჭავაძისეული მამულის არქიტექტურული კომპლექსის სარეაბილიტაციო პროექტის შესახებ;
- ე. თუმანიშვილი, შ. რუსთაველის სახ. თეატრის მუზეუმში დაცული კოლექციის ზოგადი დახასიათებისათვის (XX ს-ის 20-40-იანი წლების ესკიზები);

2. **საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“** ორგანიზატორები კორ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და გ. ჩუბინაშვილის ცენტრი.

- ე. ედიშერაშვილი, XV-XVII სს-ის მხატვრობის ტენდენციები თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ მოხატულობაში;

3. **ქართული კულტურის II საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასია: საქართველოს გზაჯვარედინზე. კულტურული ურთიერთგაცვლა ევროპაში და მის გარეთ“** ფლორენცია, 2-9 ნოემბერი, 2009 ორგანიზატორები: რომუაღლო დელ ბიანკოს საქველმოქმედო ფონდი (იტალია) და ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი (საქართველო); ჩუბინაშვილის

ცენტრი არის სიმპოზიუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი და აგრეთვე თანადამფინანსებელი. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ცენტრის თანამშრომლები: მ. დიდებულიძე, დ. ხოშტარია, ე. გედევანიშვილი, ნ. ჭიჭინაძე, ა. კლდიაშვილი, ნ. ლალ ნიძე, ლ. ანთელავა. მოხსენებები გადაცემულია დასაბეჭდად;

4. საერთაშორისო სიმპოზიუმი – „საქართველო აზიისა და ევროპის კულტურათა გზაჯვარედინზე – კულტურა, როგორც ურთიერთგაგებისა და კულტურათა შორის დიალოგის ინსტრუმენტი“, ორგანიზატორები: ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის ქართველოლოგიის ცენტრი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, 4 მაისი, 2009. მოხსენებები:

- მ. დიდებულიძე, „აფხაზთის კულტურული მემკვიდრეობა“.
- მ. ჩიხრაძე, ექსპანსია/ინტეგრაცია; ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობები 1910-1990წწ-ში;

5. საერთაშორისო კონფერენცია "ასურელი მამები აღმოსავლურ და დასავლურ საეკლესიო ტრადიციაში", ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტი, თბილისი, 5-7 მაისი, 2009. მოხსენებები წაიკითხეს კ. მაჩაბელმა და ნ. ჭიჭინაძემ. მასალები იბეჭდება;

6. III საერთაშორისო კონფერენცია – "ბიზანტინოლოგია საქართველოში", (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 2009), მოხსენებები წაიკითხეს კ. მაჩაბელმა და ნ. ჭიჭინაძემ. მასალები გამოიცა კრებულში "ბიზანტინოლოგია საქართველოში", 2, 2009;

7. საერთაშორისო კონფერენცია – 4th International Conference “Via Egnatia: Peoples and States – Cultural, Political, Regional Identities in the Past and Today”, თბილისი, 21-23 დეკემბერი, 2009

- ნ. ჭიჭინაძე, Reconstructing History - New Materials for Pontic Greek Artistic Heritage;
- მ. გაბაშვილი, “Artistic Interrations of the Late Antique Georgian Metalwork to the Near Eastern and Scythian World”;

8. **საერთაშორისო სიმპოზიუმი – CESS 10th Int.-al Conf, University of Toronto, 8-12.10. Toronto, Canada,**
 - ნ. ჭიჭინაძე, From Cultural Landscape of Georgia: Church Art of Pontic Greeks in Georgia;
9. **საერთაშორისო სიმპოზიუმი – Georgian Avant-garde Painting in the European Context (1910-1930), ფლორენცია, 2-9 ნოემბერი, 2009**
 - მ. ციციშვილი, From Expressionism to Dada: Georgian Painting from 1920 to the 1930s (Based on Recent Discoveries),
 - ლ. ანთელავა, სივრცის განცდა ქართულ ესთეტიკურ ტრადიციაში
10. **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია 17 ივნისი, 2009**
 - მაია ციციშვილი „ქართული მოდერნისტული მხატვრობის ზოგიერთი თავისებურების შესახებ“;
11. **თბილისის სასულიერო აკადემიის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია (2009, აპრილი)**
 - ა. ოქროპირიძე, ხახულის სამხრეთ მკლავის მორთულობა;
12. **ბათუმის უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია (2009 წ. 29-31 მაისი)**
 - მ. ჩიხრაძე, ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობები 1910-80-იან წლებში და თბილისის მხატვრული ცხოვრება იმ პერიოდში;
13. **კონფერენცია – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა – აფხაზეთი და შიდა ქართლი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 3 თებერვალი, 2009**
 - ც. ჩაჩხუნაშვილი, შუა საუკუნეების ხელოვნება – აფხაზეთი;
14. **ისტორიული ქალაქის სათუთი განახლება და სამოქალაქო საზოგადოება, თბილისის გოეთეს ინსტიტუტი (2009 წ. 9 ივნისი)**
 - მ. მანია „თბილისის დასაცავი ფასეულობა“ (იბეჭდება)
15. **ლ. სუმბაძის 100 წლისადმი მიძღვნილი კონფერენცია (30 ნოემბერი).**
 - ს. ლეჟავა. ლ. სუმბაძის მოღვაწეობა ხალხური ხელოვნების შესწავლაში.

7 მივლინებები და ექსპედიციები

2009 წელს მოეწყო ძეგლებზე ერთდღიანი გასვლები და რამდენიმე ექსპედიცია: დავით-გარეჯში, ყინცვისში, გორში, თეთრიწყაროს რაიონში, სამცხეში, კახეთში, იკვში, ხარაგაულის რაინში და სხვა.

8. ცენტრის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი სამართაშორისო პროექტები

- **საზაფხულო სკოლა – “ New Approaches to Medieval Art Between East and West”, თბილისი, 9-13 სექტემბერი, 2009 – გ. ჩუბინაშვილის ცენტრისა და ფლორენციის მაქს პლანკის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ერთობლივი პროექტი.**

პროექტის ფარგლებში ჩატარდა – საზაფხულო სკოლა, რომელიც ითვალისწინებს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის ახალი მეთოდოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილი ლექციების კურსს. სემინარის მუშაობას უძღვებოდნენ ევროპული უნივერსიტეტების (ბაზელის, ბერნის, ჰაიდელბერგის, ბერლინის უნივერსიტეტები) წამყვანი სპეციალისტები. მოეწყო გასვლითი ექსპედიციები მცხეთასა და ქარელის რაიონში.

ამ პროექტის ფარგლებში სამომავლოდ იგეგმება ქართველ სტუდენტთა მივლინება საზღვარგარეთის სახელოვნებათმცოდნეო კვლევით ცენტრებში.

- **ტოკიოს ტექნოლოგიის ინსტიტუტის პროექტი – „ხუროთმოძღვრული ტექნოლოგიების ურთიერთქმედება და შეფასება ქრისტიანული და ისლამური კულტურების რეგიონებში“**

შედგა მოლაპარაკება ტოკიოს ტექნოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობის თაობაზე პროექტის – „ხუროთმოძღვრული ტექნოლოგიების ურთიერთქმედება და შეფასება ქრისტიანული და ისლამური კულტურების რეგიონებში“ – ფარგლებში. დაიგეგმა თანამშრომლობა 2010 წლიდან ორი წლის ვადით პროექტის დაფინანსების შემთხვევაში.

- **თესალონიკის „ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ძეგლების ევროპულ ცენტრის“ – პროექტი – "Olkas. From the Aegean to the Black Sea. Medieval Ports in the Maritime Routs of the East".**

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი 2000 წლიდან თანამშრომლობს „ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ძეგლების ევროპულ ცენტრთან“ – EKBMM (თესალონიკი, საბერძნეთი). 2009 წელს EKBMM-მ მოგემართა წინადადებით, მონაწილეობა მივიღოთ პროექტში "Olkas. From the Aegean to the Black Sea. Medieval Ports in the Maritime Routs of the East". გ. ჩუბინაშვილის ცენტრმა თანხმობა განაცხადა ამ პროექტში მონაწილეობაზე პარტნიორი ორგანიზაციის სტატუსით. ამჟამად მზადდება საპროექტო განაცხადი დონორ ორგანიზაციაში (Joint Operational Program "Black Sea 2007-2013", www.blacksea-cbc.net) წარსადგენად. პროექტს წარადგენს EKBMM. პროექტი ორწლიანია და მიზანად ისახავს ბიზანტიურ ხანაში ეგეოსისა და შავი ზღვის არეალში არსებული საზღვაო ნავსადგურების შესახებ დოკუმენტაციის შეგროვებას და ამის საფუძველზე ტურისტული ქსელის შექმნას, რომელიც გააერთიანებს შავი ზღვისპირეთის ქვეყნებს. პროექტის შედეგები აგრეთვე გამოავლენენ ამ რეგიონში ქვეყნების, სახელმწიფოების, ხალხების ურთიერთობების, კონტაქტების ხასიათსა და გზებს, განსხვავებული კულტურების ურთიერთქმედების ისტორიას.

9. სახელმწიფო და სხვა სახის ბრანტები / პროექტები

9. 1. რუსთაველის ფონდი. ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფონდში საკონკურსოდ წარდგენილი პროექტები:

- „ხუროთმოძღვრები და მშენებლები შუა საუკუნეების საქართველოში“ (ხელმძღვანელი: დ. ხოშტარია, მონაწილეები: დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, გ. პატაშური). პროექტი დაფინანსდა პროექტზე მუშაობა დაიწყო 2010 წლის იანვარში;
- „არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში (გამოცდილების ანალიზი, ტრადიცია და ისტორიოგრაფია)", ი. ელიზბარაშვილი, მ. სურამელაშვილი, ც. ჩახუნაშვილი, პროექტი დაფინანსდა;
- ქართული სცენოგრაფიის ისტორია (XX ს. XXI ს-ის დასაწყისი) პროექტის ხელმძღვანელი მ. ოკლეი, მონაწილეები: ნ. მირცხულავა, თ. ბელაშვილი);
- ქართული ექსლიბრისი – ისტორია და თანამედროვეობა (პროექტის ხელმძღვანელი: მ. გაჩეჩილაძე, მონაწილე: მ. მეძმარიაშვილი);

9. 2. ფონდში „ღია საზოგადოება საქართველო“ წარდგენილი პროექტები:

- „სომეხი მხატვრების მოღვაწეობა საქართველოში“ (გამოფენის პროექტი). თანადამფინანსებელი ორგანიზაცია – საქ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო; გ. ჩუბინაშვილის ცენტრი) (მ. მექმარიაშვილი – პროექტის ხელმძღვანელი, პროექტის მონაწილეები: თ. ბელაშვილი, მ. გაჩეჩილაძე); **პროექტი დაფინანსდა**
- პროექტი „საღვე“, გამოფენა თბილისური სადარბაზოები, (ც. კილაძე, პროექტის ხელმძღვანელი პროექტის მონაწილეები: მ. მექმარიაშვილი, თ. გერსამია);

9.3. სხვა გრანტები/პროექტები

- ფულბრაიტის ფონდის გრანტი – მ. ჩიხრაძე, აშშ. კოლუმბიის უნივერსიტეტში მოწვეული ლექტორის სტატუსით ლექციების კურსი და კვლევითი სამუშაო;
- ფულბრაიტის ფონდის საგრანტო კონკურსში 2010 წლისთვის წარდგენილია ნ. მირცხულავას განაცხადი;
- გერმანიის საგანგებო გრანტი ლტოლვილი მოზარდებისთვის (ლექციები „ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები“, ა. ოქროპირიძე);
- ნ. ჭოლოშივილი - DAAD-ს სამეცნიერო კვლევითი სტიპენდია ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტში. თემა: "Georgische Kunst nach der Wende – Künstlerische Beziehungen und Positionen zwischen deutschsprachigen Ländern und georgischen Künstlern seit 80-er Jahre des XX. Jahrhunderts".
 - ფონდი ERSTE-ს სამეცნიერო პროექტი: "GENDER CHECK: Art in Eastern Europe from the 1960s to the mid-1990s" (ნ. ჭოლოშივილი, პროექტის მონაწილე);
 - გოეთეს ინსტიტუტის პროექტი: "1989-2009 ცვალებადი სამყარო - დროის ანარეკლი". ფოტო და ვიდეო ხელოვნება. გამოფენები ბერლინსა და თბილისში. (ნ. ჭოლოშივილი, პროექტის მონაწილე და კატალოგის ტექსტის ავტორი);
 - გოეთეს ინსტიტუტის პროექტი: KUMA - კულტურის მენეჯმენტის განვითარების პროექტი აღმოსავლეთ ევროპასა და შუა აზიაში. გოეთეს ინსტიტუტი, ბერლინი. პროექტის მონაწილე ნ. ჭოლოშივილი;
 - გოეთეს ინსტიტუტის პროექტი: ვებ-გვერდი "სამხრეთ კავკასიის თანამედროვე ხელოვნება", ქართული ვიზუალური ხელოვნება, ნ. ჭოლოშივილი პროექტის კურატორი.
 - - "Silk road project", საქართველოს კულტურის სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთობლივი პროექტი, ნიურნბერგის უნივერსიტეტის პროფესორი ქრისტიან ლუსიან ჰამსეას

პროგრამა "ორიენტაცია თეორიასა და პრაქტიკაში". პროექტის კოორდინატორი ნ. ჭოლოშივილი.

- "ქართული მოდერნიზმი/მოდერნულობა ვებ გვერდზე" (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთა). ნ. ყიფიანი (პროექტის ხელმძღვანელი), თ. ტაბატაძე, მ. ჩიხრაძე, ნ. მირცხულავა, ც. კილაძე. მიმდინარეობს მასალის ვებ გვერდზე განთავსება.

10. ცენტრის თანამშრომელთა მიერ 2009 წელს ბანსოტციელებული საბანმანათლებლო, საექსპერტო და საზოგადოებრივი საქმიანობა

საგანმანათლებლო საქმიანობა:

10. 1. დისერტაციებისა და დიპლომების ხელმძღვანელობა, ოპონირება

ცენტრის თანამშრომლები ხელმძღვანელობას უწევენ სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომებს, არიან დისერტაციების ოპონენტები და რეცენზენტები.

10.2. სახელმძღვანელოების მომზადება

ცენტრის თანამშრომლები ამზადებენ სახელმძღვანელოებს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისთვის. მიმდინარე წელს გამოიცა I, IV, V, VI, VII, XI კლასის ხელოვნების სახელმძღვანელოები (ავტორები ა. კლდიაშვილი, ნ. ღაღანიძე).

10.3.) ცენტრის თანამშრომელთა პედაგოგიური მოღვაწეობა

ცენტრის თანამშრომლები აქტიურად ეწევიან პედაგოგიურ მოღვაწეობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში:

- **თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში** ხელოვნების ისტორიისა და რესტავრაციის ფაკულტეტზე: დ. თუმანიშვილი, კ. მაჩაბელი, ლ. ხუსკივაძე, ი. ხუსკივაძე, ლ. ანთელავა, ს. ლეჟავა, ა. კლდიაშვილი, ნ. ღაღანიძე, მ. ყენია, თ. ხუნდაძე, მ. ჯანჯალია, ა. ოროპირიძე, თ. ბელაშვილი, ნ. ჭოლოშივილი, მ. მანია; ე. კვაჭატაძე, ი. ელიზბარაშვილი, ც. კილაძე.
- **ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში** ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრაზე: მ. ციციშვილი, გ. ხოშტარია, ნ. ჭოლოშივილი)

- **თბილისის სასულიერო აკადემიაში:** მ. დიდებულიძე, დ. თუმანიშვილი, ა. ოქროპირიძე, ქ. აბაშიძე;
- **ილ. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში:** ნ. ჭიჭინაძე, ე. გუდუგანიშვილი, მ. გაბაშვილი; ნ. ყიფიანი.
- **საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში:** თ. სანიკიძე;
- **წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ხატწერის სკოლაში:** თ. ხოშტარია;
- **სკოლის პედაგოგთა გადამზადების ეროვნული ცენტრი:** თ. ბელაშვილი.

10.4.) საექსპერტო საქმიანობა

ცენტრის თანამშრომლები არიან სხვადასხვა სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭოს წევრები:

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან არსებული კედლის მხატვრობის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო – მ. დიდებულიძე, ლ. ხუსკივაძე, ქ. მიქელაძე, მ. ჯანჯალია;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან არსებული ხუროთმოძღვრების კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო – ი. ელიზბარაშვილი, ც. ჩახუნაშვილი;
- საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრთან არსებული სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო – მ. დიდებულიძე, გ. ჭანიშვილი.
- საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული მოძრავი ძეგლების საექსპერტო კომისია – მ. ციციშვილი, დ. ლებანიძე;
- განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრთან არსებული ექსპერტთა საბჭო – ა. კლდიაშვილი;
- თბილისის მერიისა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო (თ. გერსამია, მ. დიდებულიძე)
- კულტურის ცენტრის საქართველოს ისტორიული ქალაქების დაცვითი ზონების ურბანული განვითარების კომისია – ლ. ანდრონიკაშვილი;
- 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლთა სიმბოლური საფლავზე დასადგმელი ქანდაკებისთვის (მთაწმინდის პანთეონი) გამოცხადებული კონკურსის კომისია – დ. ლებანიძე.
- BP-ის კულტურული მემკვიდრეობის პროგრამის საექსპერტო სამუშაოები (დ. ხოშტარია).

10.5. კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რესტავრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობა

- ცენტრის თანამშრომლები აქტიურად მუშაობენ ძეგლთა დაცვის პრობლემების საკითხებზე; არიან სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო პროექტების მონაწილენი. ასრულებენ კვლევით და საექსპერტო საქმიანობას. 2009 წელს მონაწილეობა მიიღეს: გ. ჭანიშვილმა – ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი – II ეტაპი; არგვეთის ღმრთისშობლის მიძინების ეკლესიის, დურევის მაცხოვრის ეკლესიის, ბოლნისის „ყორანთას“ ეკლესიის, ნეკრესის მონასტრის საეპისკოპოსო სასახლის, ნეკრესის მონასტრის მცირე „ბაზილიკის“, ალვის მონასტრის, შალაურის (თელავთან) ეკლესიის, გრემის ნაქალაქარის არქიტექტურული კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტებში; ურბანული ძეგლების რეაბილიტაციის პროექტები: სიღნაღი (ხელაშვილების სახლის რეაბილიტაცია, თბილისი – ჭრელი აბანოს რეაბილიტაცია; თბილისი – აბანო №7-ის რეაბილიტაცია. სახელგონებამცოდნეო დასკვნების და რეკომენდაციების მომზადება ძველი თბილისის რ-ში მშენებლობასთან დაკავშირებით; მ. სურამელაშვილმა – საცხოვრებელი სახლი №1/6 ი. მაჩაბლისა და გ. ლეონიძის ქუჩების კუთხეში (ძველი თბილისის გამგეობის მიერ დაფინანსებული კვლევა).

- **ძეგლთა დაცვის პრობლემატური საკითხები**

მომზადდა მიმართვები, მოხსენებითი ბარათები, პეტიციები:

ურბნისის ტაძრის ინტერიერში მიმდინარე უხეში ჩარევების გამო; ძეგლთა დაცვითი თვალსაზრისით საკამათო მეთოდის გამოყენება ბაგრატის ტაძრის სამშენებლო სამუშაოებისას ქუთაისში; პურის მოედნის №2-4 ისტორიული შენობის შენარჩუნების აუცილებლობა; ქალაქ ბათუმის რეაბილიტაციის პროექტის საკამათო საკითხები და სხვა.

10.6. საზოგადოების ინფორმირება.

ცენტრის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ საქმიანობაში კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და დაცვის საკითხებთან დაკავშირებით; მონაწილეობენ სატელევიზო და რადიო-გადაცემებში (მაგ., საპატრიარქოს რადიო და ტელევიზია), აქვეყნებენ საგაზეთო სტატიებს.

ცენტრის მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაციასთან დაკავშირებით ცენტრმა მოამზადა და გამოსცა საინფორმაციო ლიფლეტები ცენტრის თაობაზე, რომლებიც დაიგზავნა სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, სამთავრობო უწყებებში, საერთაშორისო

ორგანიზაციებსა და საქართველოს აკრედიტირებულ საელჩოებში; არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვ.

მუდმივად ხდება ცენტრის ვებ-გვერდის განახლება და ახალი მასალის შეტანა .

11. ფონდების მოძიება

- **მაგთი ჯგუფმა** დააფინანსა ცენტრის წიგნების პრეზენტაცია, რომელიც ჩატარდა 2009 წლის 1 აპრილს;
- **საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან** გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ცენტრს გადმოერიცხა თანხები შემდეგი სამუშაოებისთვის: ყაზბეგი-დუშეთის, გარდაბანი-წითელი ხიდის, სენაკი-ფოთის მონაკვეთებზე გაზსადენის სავარაუდო ტრასზე კულტურული მემკიდრეობის მიწისზედა ძეგლების აღნუსხვა, მათი ფიზიკური მდგომარეობის ფიქსაცია, საექსპერტო დასკვნების მომზადება, დაცვითი ზონების განსაზღვრა.
- **რუსთაველის ფონდიდან** მოძიებულ იქნა ტანხები ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის დ. ხოშტარიას მონაწილეობისათვის ფლორენციის საერთაშორისო სიმპოზიუმში 2-9 ნოემბერს.

12. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება:

2009 წელს ცენტრის მთავარ პრობლემად კვლავ რჩებოდა შენობის საკითხი:

ინსტიტუტის დირექციის ხანგძლივი მცდელობის, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და თბილისის მერიის აქტიური დახმარების შედეგად ქ. თბილისის მთავრობამ 2009 წლის 24 დეკემბრის № 34.13.1218 დადგენილებით გადასცა გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრს ათონელის ქ. №9 შენობის არასაცხოვრებელი ფართი (პირველ სართულზე არსებული 650,84 კვ.მ ფართი, და იმავე შენობის II სართულზე არსებული 266,01 კვ.მ ფართი), როგორც კომპენსაცია 1991 წელს თბილისის ომის დროს ხანძრით განადგურებული შენობისა ლესია უკრაინკას ქ. №3-ში.

2010 წლის 12 იანვარს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გ. ჩუბინაშვილის ცენტრისთვის ხსენებული ფართის გადაცემის თაობაზე უსასყიდლო უზუფქრუქტით.

13. პრობლემები:

2009 წლის განმავლობაში ცენტრის მუშაობაში გამოვლინდა რიგი პრობლემებისა. მათ შორისა:

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ გ. ჩუბინაშვილის ცენტრისთვის დაფინანსების გაზრდამ შესაძლებელი გახადა თანამშრომლებისთვის ხელფასების მომატება, თუმცა ეს მაინც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მათ ნორმალური სამეცნიერო მუშაობა აწარმოონ.

მთელი წლის განმავლობაში დიდ პრობლემად რჩებოდა სათანადო ფართის უქონლობა, რასაც დაემატა თაბუკაშვილის ქ. №5 შენობის გამაგრებითი სამუშაოები, რომლებმაც კიდევ უფრო გაართულა ეს ვითარება, ანუ ფაქტიურად დროებით გაუქმდა თანამშრომლების თავშეყრის ადგილიც.

სამწუხაროდ, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი ჯერჯერობით ვერ ახერხებს მისთვის გამოყოფილ შენობაში გადასვლას, ვინაიდან ამჟამად ათონელის ქ. № 9 შენობაში განთავსებული არიან ლტოლვილები. ცენტრის ბიბლიოთეკის გადარჩენილი ნაწილი კვლავ ტომრებშია მოთავსებული საწყობში. თანამშრომლებს არ აქვთ სათანადო პირობები მუშაობისთვის.

ფართის და სახსრების უქონლობასთან არის დაკავშირებული ახალი წიგნების შეძენის საკითხი, რაც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია დარგის სათანადოდ განვითარებისთვის.

ცენტრი შესაძლებლობისამებრ აზრავნიდა მის მიერ გამოცემულ წიგნებს საზღვარგარეთის მნიშვნელოვან სამეცნიერო ცენტრებში და ბიბლიოთეკებში, თუმცა ეს საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით. ეს საკითხო კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად.

დარგის განვითარებისათვის და პოპულარიზაციისთვის აუცილებელია დიდი თანხების მოძიება ჩვენი სამეცნიერო პროდუქციის სათარგმნელად (როგორც მონოგრაფიების და ალბომების, ასევე პერიოდული გამოცემების). პროფესიული თარგმანის საკითხი ასევე წარმოადგენს პრობლემას.

ჯერჯერობით არ არის სათანადოდ ამოქმედებული საზოგადოების ინფორმირების სამსახური. ამიტომ ცენტრის მოღვაწეობა ჩვენს საზოგადოებაში არ არის საკმაოდ გაშუქებული და, შესაბამისად, ცენტრის ზეგავლენა დარგში მიმდინარე პროცესებზე შესუსტებულია.

თუმცა საექსპედიციო და სამივლინებო ხარჯები გაიზარდა, მაინც ჯერ ვერ ხერხდება მათი სათანადო ორგანიზება და განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერების და სტაჟიორების აქტიური ჩართვა. ამისთვის საჭიროა სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესება.

გართულდა სამეცნიერო მონოგრაფიების გამოცემისთვის საჭირო თანხების მოძიება. საჭიროა საგანგებო ფინანსური წყაროების მოძიება.

საერთოდ, ცენტრის წინაშე სერიოზულად დგას დამატებითი თანხების მოძიების პრობლემა როგორც სამეცნიერო კვლევისთვის (განსაკუთრებით ექსპედიციებისთვის), ასევე ფოტო-ლაბორატორიის მუშაობისა და, განსაკუთრებით, წიგნების გამოცემისთვის.

დასკვნა:

2009 წელს ცენტრმა შეასრულა სახელმწიფოს (კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს) წინაშე აღებული ვალდებულებები როგორც სამეცნიერო კვლევის, ასევე კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და დაცვის მიმართულებით.

2009 წელს ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ დამუშავდა **49** წლიური თემა.

ცენტრის თანამშრომელთა მონაწილეობით გამოიცა 8 წიგნი; 5 წიგნი მომზადდა გამოცემისთვის.

2008 წელს დაიბეჭდა ცენტრის პერიოდული გამოცემის „საქართველოს სიძველენის“ ერთი ნომერი (№12) და სამეცნიერო სტატიების ერთი კრებული.

2008 წლის განმავლობაში ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლებმა დაბეჭდეს 29 სამეცნიერო სტატია სამამულო პერიოდულ გამოცემებში და კრებულებში; **20** სამეცნიერო სტატია უცხოეთის პერიოდიკაში და საერთაშორისო სამეცნიერო კრებულებში.

2009 წელს ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ მოპოვებულ იქნა სამეცნიერო გრანტები: საზღვარგარეთის ფონდებიდან – 8; სამამულო ფონდებიდან - 4

ცენტრის თანამშრომლები ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო თავყრილობებში როგორც ქვეყნის შიგნით (**17** მეცნიერ-თანამშრომელი), ასევე საზღვარგარეთ (**12** მეცნიერ-თანამშრომელი).

ცენტრი აგრძელებდა თანამშრომლობას ფლორენციის მაქს პლანკის ხელოვნების ინსტიტუტთან და თესალონიკის ბიზანტიური და პოსტ-ბიზანტიური ძეგლების ევროპულ ცენტრთან.

ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლები (24 მეცნიერი) აქტიურად არიან ჩაბმული საგანმანათლებლო საქმიანობაში თბილისის რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელა ს. ქობულაძის ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიამ, განაახლა და შეავსო თავისი ფოტო-არქივი. სულ 2009 წლის განმავლობაში გადაღებულია 720 კადრი. დასკანერდა და ციფრულ ფორმატში იქნა დაარქივებული 872 ცალი სლაიდი

ცენტრის მიერ გამოცემულ წიგნს „ქართულ-აფხაზური ალბომი“ მიენიჭა გ. შერვაშიძის პრემია.

მთელი წლის განმავლობაში გ. ჩუბინაშვილის ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ; აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს საქართველოს საპატრიარქოსთან, დარგში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ცენტრის თანამშრომლები ეწევიან საექსპერტო საქმიანობას და აქტიურად მონაწილეობენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-კონსერვაციის პროგრამებისა და პროექტების შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში.

ნაწილობრივ მოგვარდა გ. ჩუბინაშვილის ეროვნული ცენტრის ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, კერძოდ სამუშაო ფართის უქონლობა: 2009 წლის 24 დეკემბერს ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრს გადაეცა შენობის ნაწილი ათონელის ქ. № 9-ში, ამჟამად შენობაში განთავსებული ლტოლვილების ბინებით დაკმაყოფილების შემდეგ გ. ჩუბინაშვილის ცენტრი შეძლებს დაიწყოს ნორმალური ფუნქციონირება.

2009 წლის მუშაობის ანგარიშები და სამეცნიერო თემები ინახება გ. ჩუბინაშვილის ცენტრში.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

დ. თუმანიშვილი

დირექტორი

მ. დიდებულიძე

თბილისი,

20 თებერვალი 2010 წ.